ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 31 მაისი 2008 №123 (3347) ფასი 50 თეთრი


# სკოლარის სკოლა

## დღეს საქართველოს მძიმე გამოცდა აქვს






## ვინ გაანაწილებს 59 პროცენტს?



# თავსატეხი, რომელიც სიცილში ისვრის

რას უმზადებს კრიშტიანუ რონალდუ საქართველოს და რას უმზადებს საქართველო კრიშტიანუ რონალდუს

საქართველოს ნაკრების თამაშების მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT
SLOT POKER CLUB VEGA

ვიზეუ. 31 მაისი. 21.15 საათი. სტადიო ვიზეუ

## პორტუგალია — საქართველო

მსაჯები: ლ. მეირი, დ. ნისანი, პ. ეიალია (სამივე ისრაელი), პ. ბაპტიშტა (პორტუგალია)

# ვინ გააწბილებს 59 პროცენტს?

## საქართველო სათურქეთოდ სარგოა

**გუშინ** საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ბოლოჯერ ივარჯიშა პორტუგალიასთან მატჩამდე.

დღეს პეტარ სეგრტის ბიჭები ევრო 2008-ის ერთ-ერთ ფავორიტს გაეჯიბრებიან და ამ უაღრესად საინტერესო მატჩს მთელი საფეხბურთო საქართველო ელის.

ჩვენები კარგად არიან, ჯანმრთელობის პრობლემაც არავის აწუხებს, ერთადერთი, ალექსანდრე იაშვილის თამაში იყო საეჭვო, თუმცა ექიმები იმედოვნებენ, რომ მას პრობლემები აღარ შეაწუხებს და დღეს მოედანზე გავა.

ქართველების დარად, მთელი შემადგენლობით ემზადება პორტუგალიაც. ლუიშ ფელიპე სკოლარი რომ უძლიერესი თერთმეტეულის დაყენებას აპირებს, აქამდეც გვეწერა და მასპინძლები იმასაც ამბობენ, საქართველოსთან სპარინგი თურქებთან ოფიციალური მატჩისთვის მშვენიერი იქნებაო.

პორტუგალიელი ჟურნალისტების აზრით, ქართველებიც თურქებისნაირ ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობენ და ეს მათ ნაკრებს უთუოდ წაადგება.

ვინ როგორ ფეხბურთს ითამაშებს „სტადიო ვიზეუზე", ამას დღეს ვნახავთ. ჩვენ კი იმედი დავიტოვოთ, რომ სეგრტის სამწყსო თავს არ შეირცხვენს, რასაც, სამწუხაროდ, საქართველოში ბევრი არცთუ უსაფუძვლოდვარაუდობს და გულშემატკივართა შორის რომ პესიმისტური განწყობაა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდზე ჩატარებული გამოკითხვიდანაც ჩანს: 647 გამოკითხულიდან 59,2 პროცენტი პორტუგალიის მოგებას ფიქრობს, 17 პროცენტი — ფრეს, ხოლო 23,8 პროცენტი — საქართველოს მოგებას.

**ქახა შალამბერიძე**

„სავარაუდოდ, პორტუგალიასთან ვითამაშებ. არანაირი შიში, ნაკრებში საბრძოლო განწყობაა და პორტუგალიას იქით ეშინოდეს" — გვითხრა ზურაბ მენთეშაშვილმა, რომელსაც გუშინ დავუკავშირდით. მენთეშაშვილმა ესტონეთთან მატჩი გამოტოვა, რაკილა სიცხე ჰქონდა. მისი, როგორც ტიპიური საყრდენი ნახევარმცველის არყოფნა კი პეტარ სეგრტის გუნდს აშკარად ეტყობოდა...



# ზურაბ მენთეშაშვილი: ვიომებთ!

## პორტუგალიას იქით ეშინოდეს

— როგორ მიდის პორტუგალიასთან მატჩისთვის მზადება?

— მშვენიერი პირობები გვაქვს. რაც მთავარია, აქ კარგი მინდვრებია, ვვარჯიშობთ და იმედიანად ველით პორტუგალიასთან თამაშს. ვიომებთ!

**— შიშის ფაქტორი ხომ არ არის ნაკრებში?**

— არანაირად. პორტუგალიელებიც ჩვენნაირი ადამიანები არიან და არა რობოტები. ერთი კია, ძალიან ძნელი თამაში გვექნება: ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტს ვხვდებით.

— პორტუგალიის ყველაზე ძლიერი რგოლი ნახევარდაცვაა და ამდენად, განსაკუთრებული დატვირთვა იქნება შენზე...

— ალბათ. თუმც ვეცდებით, არაფერი დავთმოთ.

— ესტონეთთან თამაშზე რას იტყვი — რა მოგეწონა და რა არა?

— ბიჭებმა იბრძოლეს და ყველაფერი გააკეთეს მოხაგებად, მაგრამ ისეთ მინდორზე, როგორიც ტალინში იყო, ძნელია თამაშის შეფასება. კომბინაციები არ გამოდიოდა, ბურთი წამდაუწუმ დახტოდა და პასის მიცემაც ჭირდა. მოკლედ, საესტონეთო მინდორი იყო...

— ესტონეთთან თამაშისას რამდენიმე ფეხბურთელს ექიმებმა მინდორზე უწამლეს და ვინმე ხომ არ დააკლდება პორტუგალიასთან თამაშს?

— არა, ყველა ჯანმრთელადაა.

— საკლუბო ამბებზეც ვთქვათ: „ვენტსპილსიდან" წასვლა რომ გინდა, ვიცით...

— წასვლა კი მინდა, მაგრამ ჯერჯერობით, რეალური წინადადება არცერთი გუნდისგან არ მიმიღია.

**ილია ნანოგაშვილი**

# ესტონეთი ვნახეთ, თამაში ვნახოთ!

**საქართველოს** ეროვნული ნაკრების დროებითმა თავკაცმა პეტარ სეგრტმა ესტონეთის ნაკრებთან სადებიუტო თამაში არ წააგო (1:1).

ამ მატჩში ჩვენებს მონდომება და ჟინი ეტყობოდათ, რაც სხვა მატჩებში აშკარად აკლდათ. თუმცა ესტონელებთან ქართველებმა ბევრი უხეში შეცდომა დაუშვეს, განსაკუთრებით დაცვის ხაზში.

მალხაზ ასათიანს აშკარად ეტყობოდა, რომ ოპტიმალური ფორმიდან შორსაა, ვერც ლევან ცქიტიშვილი იყო ნაყოფიერი, მარტო ლევან კობიაშვილს კი ცენტრში უჭირდა. საერთო აზრით, ყველაზე ნათელი წერტილი ტალინურ მატჩში ალექსანდრე იაშვილი გახლდათ, რომელმაც ბევრი იმოძრავა, პასებიც არიგა და საგოლე სიტუაციებშიც სულ მთავარი მონაწილე იყო. სწორედ მისი უზადო პასის შემდეგ გაიტანა გამთანაბრებელი ლევან ყენიამ.

ისიც ვთქვათ, რომ საქართველოს ნაკრებში დებიუტი ჰქონდათ გიორგი ლორიას, უჩა ლობჟანიძეს, გიორგი ნავალოვსკის და ირაკლი კლიმიაშვილს.

ლორიამ ორჯერ ნაღდი გოლისგან იხსნა გუნდი და, საერთოდაც, ურიგო შთაბეჭდილება არ დაუტოვებია; ლობჟანიძე პირველ ნახევარში ნორმალურად გაისარჯა, მეორე ტაიმში კი ნერვიულობა ეტყობოდა და თითქოს უწყინარ სიტუაციაში აიკიდა პენალტიც; ნავალოვსკი სხვა მცველებთან შედარებით ყველაზე ნაკლებად ცდებოდა; კლიმიაშვილი ცოცხლად ჩაერთო თამაშში და დებიუტანტის კვალობაზე, ნორმალური შთაბეჭდილება დატოვა.

აი, ლევან ყენიამ კი კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ დიდი პოტენციალის მქონე ახალგაზრდაა და თუ შრომას გააგრძელებს, ვარსკვლავადაც იქცევა.

ნაკრებში მობრუნებულ დავით ოდიკაძეს და რატი ალექსიძეს მონდომება ნაღდად ეტყობოდათ, თუმც ნაკრებში დასამკვიდრებლად ბევრი ოფლისღვრა რომ მოუწევთ, ფაქტია. წლეულს ყაზანის „რუბინში" კარგად მოთამაშე დავით კვირკველიას თამაშს კი სიმწვავე აკლდა, ერთხელ გოლის გატანაც შეეძლო, მაგრამ ხეირიანად ვერ დაარტყა და...

ბექა გოცირიძემ მოედანზე ოცი წუთი დაყო და გატანის მშვენიერი შანსიც მიეცა, მცველებმა უმეთვალყურეოდ მიატოვეს, მაგრამ თავური კარს ვერ დაუმიზნა.

მთლიანობაში რა შეიძლება ითქვას — ბოლო სამ მატჩში ჩვენმა ნაკრებმა პირწმინდად წააგო ლიტვასთან, ლატვიასა და ჩრდილოეთ ირლანდიასთან. თანაც ცხრა გოლი გაუშვა. ესტონეთთან კი წლეულს პირველად მოხდა, რომ არ წავაგეთ. თანაც ვაგებდით და მარცხს დავუძვერით. ისიცაა, რომ სეგრტს გუნდის მოსამზადებლად რამდენიმე დღე ჰქონდა და, მგონი, არავინ ელოდა, რომ ჩვენი ნაკრები ფრთებს გამოისხამდა.

და რა გველის დღეს პორტუგალიასთან?

სეგრტმა „სარბიელს" უთხრა, ბოლომდე და კაცურად ვიბრძოლებთო. თუმცა მხოლოდ თქმა საქმეს ვერ გააკეთებს.

ისე, ყველას აინტერესებს, ვის დაავალებს სეგრტი კრიშტიანუ რონალდუს მეურვეობას, იგი ხომ წლეულს მთელმა ევროპამ ვერ დააკავა. რონალდუს გარდა პორტუგალიას ბევრი ციმციმა ვარსკვლავი ჰყავს და ვნახოთ, როგორ ჩააბარებს სეგრტის გუნდი ამ მძიმე გამოცდას.

კარგი იქნება, თუ საქართველოს ნაკრები ყრუ დაცვაში არ დადგება, როგორც ეს წინა შესარჩევ ციკლში საფრანგეთის ნაკრებთან იყო სტუმრად — 0:1 წავაგეთ, თუმც 90 წუთი კარში არ დაგვირტყამს. მაშინ ბევრმა ჩათვალა, რომ საფრანგეთთან მინიმალური სხვაობით წაგება დიდი საქმე გახლდათ. ჩვენი აზრით კი, ის, რაც მაშინ კლაუს ტოპმიოლერის ნაკრებმა ითამაშა, ანტიფეხბურთი იყო!

პორტუგალიასთან მატჩი ამხანაგურია და ალბათ მეტი გამბედაობაა საჭირო. იმით ტრაბახი, რომ მინიმალური სხვაობით წააგე, უაზრობაა.

თამაში გვანახეთ, თამაში!

**ნუგზარ ლოლაძე**



### ირლანდია

**პრემიერლიგა. XIV ტური**

ბოჰემიანსი 3:0 სლიგო
ბრეი 1:0 შემროკი
გალვეი 2:2 სენტ პატრიკსი
დუბლინი 1:0 ფინ ჰარპსი

### ამხანაგური მატჩები

ჩეხეთი 3:1 შოტლანდია
ლატვია 1:0 ესტონეთი
ავსტრია 5:1 მალტა
შვეიცარია 3:0 ლიხტენშტაინი
იტალია 3:1 ბელგია
მელბურნი 1:4 იუვენტუსი
ალ შაბაბი 0:2 ლიონი

**ახალგაზრდულები (U-21)**

ლიტვა 4:0 ესტონეთი

## საქართველოს ეროვნული ნაკრები — შოთას არველაძის მეგობრები

3 ივნისი, მატჩის დაწყების დრო 18 საათი.

მატჩზე დასწრების მსურველთა საყურადღებოდ: გაცნობებთ, რომ თამაშზე დასასწრები ბილეთების გაყიდვა დაიწყება 31 მაისიდან ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის სალაროებში.

ბილეთების ფასი 5, 7 და 10 ლარი.

კორპორატიული კლიენტებისთვის ბილეთები ტურისტულ სააგენტო GFF TRAVEL-ში გაიყიდება. ტელეფონი: 91 70 14.

ელ. ფოსტა TRAVEL@GFF.GE

გულშემატკივრებს ვთხოვთ, 3 ივნისს სტადიონზე მობრძანდეთ 17 საათიდან.

# უკმაყოფილო არ ვარ
## დავით ბოლქვაძე ამერს დაუბრუნდა



ბადრი კეთილაძის ფოტო

აზერბაიჯანის ჩემპიონატი ახლახან დასრულდა და იქ მოთამაშე ქართველი ფეხბურთელებიც საქართველოში ატარებენ შვებულებას. ზაქათალის „სიმურგში" მოთამაშე დავით ბოლქვაძეს იჯარა დაუმთავრდა — თბილისის „ამერს" ის სეზონის ბოლომდე ჰყავდა განათხოვრებული. ბოლქვაძე ახლა თბილისშია და გუშინ ჩვენც გავესაუბრეთ...

— აზერბაიჯანში ადაპტაცია არ გამჭირვებია, იქვეა ლაგოდეხიც და თითქმის საქართველოა. იქაურ ჩემპიონატში ადვილი სათამაშო ნამდვილად არ არის, თუმცა მაღალი დონეაო, ვერ ვიტყვი.

**— საქართველოსა და აზერბაიჯანის ჩემპიონატებს შორის რა განსხვავებაა?**

— საქართველოში უკეთესი ფეხბურთელები თამაშობენ, აზერბაიჯანში კი უფრო კარგი პირობებია. იქ ლეგიონერებმა წამოწიეს ჩემპიონატის დონე. ყველა გუნდში, სულ ცოტა, შვიდი უცხოელი თამაშობს, „ინტერს" სულაც 17 ლეგიონერი ჰყავს...

**— შენ იჯარა დაგიმთავრდა, კონტრაქტი კი „ამერთან" გაკავშირებს...**

— „ამერის" ფეხბურთელი ვარ და ჯერ არ ვიცი, რა და როგორ იქნება...

**— მთლიანობაში „სიმურგში" გატარებულ დროს როგორ აფასებ?**

— უკან გადადგმული ნაბიჯი ნამდვილად არ ყოფილა, ნორმალური სეზონი ჩავატარე, ოთხი გოლი გავიტანე და იქაურები ჩემი თამაშით კმაყოფილები დარჩნენ. ჩემთვის ამ ეტაპზე რაღაცის შეცვლა ჯობდა და „სიმურგში" გატარებული დროით უკმაყოფილო არ ვარ.

**— შენთან ერთად „სიმურგში" კახა ჩხეტიანმაც ითამაშა...**

— კახა ყველა მატჩში სასტარტო შემადგენლობაში იყო. მას კარგი სეზონი ჰქონდა და ალბათ დარჩება „სიმურგში".

**— ბევრი ქართველი ფეხბურთელი თამაშობს აზერბაიჯანში და იქაურები ამას როგორ უყურებენ?**

— საკმაოდ თბილი დამოკიდებულება აქვთ ქართველებთან, პატივისცემის მეტი არაფერი მიგრძვნია.

**ნუკრი ლოლაძე**

## თვალი თვალი



*ამერელი დიმიტრი ტატანაშვილის და „ზესტაფონის" ურთიერთობაზე ბევრი თქმულა — ხშირად გაგვიგია, ზესტაფონელ ქომაგს ტატანაშვილის გვარის გახსენება განსაკუთრებულად სძულსო. დიმამ ხომ საქართველოს თასის ბოლო ორ ფინალში თითო გოლი უთავაზა იმერულ კლუბს და არც საჩემპიონატო მატჩებში დაუკლია რამე. თუმცა... აი, ასეთებიც ხდება: მე-19 ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ტურში, „ზესტაფონი" — „ამერის" მატჩის (3:1) შემდეგ იქაურმა ქომაგობამ ლამის თავპირი დაამტვრია ერთმანეთს ტატანაშვილის მაისურის გამო...*




# საქართველო სესერეობისას

**რამდენიმე** დღის წინ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის 19-ივე სეზონის შემაჯამებელი ცხრილი წარმოგიდგინეთ. ისიც გავიხსენეთ, რომ საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატი 1927 წლიდან ტარდება და 1989 წლამდე საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ჩემპიონატი ერქვა. ამ პერიოდში 52 სეზონი ჩატარდა, ორჯერ კი წყვეტა იყო: 1929-35, 1941-42 და 1955 წლებში ჩემპიონატი არ ჩატარებულა. შეგახსენებთ, რომ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი 1936 წლიდან დარტებოდა, ანუ საქართველოს სსრ ჩემპიონატმა საკავშიროსას 9 წლით გაუსწრო.

რაც ეროვნული ჩემპიონატი დაარსდა, ხუთი გამარჯვებული გვყავს: „დინამო" (13), „ტორპედო" (3), „სიონი" (1), „ვიტ ჯორჯია" (1), „ოლიმპი" (1). საქართველოს სსრ ჩემპიონობა კი 30 გუნდს აქვს მოგებული. და ვინ არის რეკორდსმენი? თბილისის ტტუ, რომელმაც წინა საუკუნის 50-იან წლებში გამარჯვება ხუთჯერ იზეიმა. ეს გუნდი იმ ძველი ჩემპიონატის სხვა რეკორდსაც ფლობს — პირველობა მიჯრით სამჯერ აქვს მოგებული. საქართველოს 4-გზის ჩემპიონია რუსთავის „მეტალურგი", სამგზისანი კი — თბილისის „ლოკომოტივი", ქუთაისის „ტორპედო", „იმერეთი" და მახარაძის „მერცხალი".

მახარაძისაო, ვთქვით და, დამოუკიდებლობის შემდგომი თაობისთვის, ალბათ, განმარტებაა საჭირო: მახარაძე ის ქალაქია, ახლა ოზურგეთი რომ ჰქვია. სხვა განმარტებებიც არის საჭირო და არა მხოლოდ ახალგაზრდებისთვის. გუნდების სახელებს ვგულისხმობთ. ზიი, ოდკა, ტოდო, ტტუ, სკიფ — ამ აბრევიატურების მიღმა დღევანდელი გადასახედიდან ძალიან სასაცილო სახელები იმალება.

მაშ, ასე:

ზიი — ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტი;
ოდკა — წითელი არმიის საოლქო სახლი;
ტოდო — ოფიცერთა სახლის თბილისის ოლქი;
ტტუ — ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველო;
სკიფ — ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტული კლუბი.

თავად აბრევიატურები კი რუსულია, რაც იმ დროს მიღებული და ჩვეულებრივი ამბავი იყო. რუსულიდანვე მოდის 1939 წლის ჩემპიონის სახელიც „ნაუკა", რაც, მოგეხსენებათ, „მეცნიერებას" ნიშნავს.

**გიორგი დარჯანია**



## საქართველოს სსრ ჩემპიონები

| | |
|---|---|
| 1927 | ბათუმის ნაკრები |
| 1928 | თბილისის ნაკრები |
| 1929-35 | ჩემპიონატი არ ჩატარებულა |
| 1936 | ზიი თბილისი |
| 1937 | „ლოკომოტივი" თბილისი |
| 1938 | „დინამო" ბათუმი |
| 1939 | „ნაუკა" თბილისი |
| 1940 | „დინამო" ბათუმი |
| 1941-42 | ჩემპიონატი არ ჩატარებულა |
| 1943 | ოდკა თბილისი |
| 1944 | ჩემპიონატი არ ჩატარებულა |
| 1945 | „ლოკომოტივი" თბილისი |
| 1946 | „დინამო" ქუთაისი |
| 1947 | „დინამო" სოხუმი |
| 1948 | „დინამო" სოხუმი |
| 1949 | „ტორპედო" ქუთაისი |
| 1950 | ტოდო თბილისი |
| 1951 | ტოდო თბილისი |
| 1952 | ტტუ თბილისი |
| 1953 | ტტუ თბილისი |
| 1954 | ტტუ თბილისი |
| 1955 | „დინამო" ქუთაისი |
| 1956 | „ლოკომოტივი" თბილისი |
| 1957 | ტტუ თბილისი |
| 1958 | ტტუ თბილისი |
| 1959 | „მეტალურგი" რუსთავი |
| 1960 | „იმერეთი" ქუთაისი |
| 1961 | „გურია" ლანჩხუთი |
| 1962 | „იმერეთი" ქუთაისი |
| 1963 | „იმერეთი" ქუთაისი |
| 1964 | „ენგურჰესი" ზუგდიდი |
| 1965 | „თოლია" თბილისი |
| 1966 | „გურია" ლანჩხუთი |
| 1967 | „მერცხალი" მახარაძე |
| 1968 | ასკ თბილისი |
| 1969 | „სულორი" ვანი |
| 1970 | სკიფ თბილისი |
| 1971 | „გურია" ლანჩხუთი |
| 1972 | „ლოკომოტივი" სამტრედია |
| 1973 | „დინამო" ზუგდიდი |
| 1974 | „მეტალურგი" რუსთავი |
| 1975 | „მაღაროელი" ჭიათურა |
| 1976 | სკიფ თბილისი |
| 1977 | „მზიური" გალი |
| 1978 | „კოლხეთი" ფოთი |
| 1979 | „მეტალურგი" რუსთავი |
| 1980 | „მეშახტე" ტყიბული |
| 1981 | „მეშახტე" ტყიბული |
| 1982 | „მერცხალი" მახარაძე |
| 1983 | „სამგურალი" წყალტუბო |
| 1984 | „მეტალურგი" რუსთავი |
| 1985 | „შადრევანი-83" წყალტუბო |
| 1986 | „შევარდენი" თბილისი |
| 1987 | „მერცხალი" მახარაძე |
| 1988 | „კოლხეთი" ფოთი |
| 1989 | „შადრევანი-83" წყალტუბო |



# ალბათ, კრივბასში წავალ

## ირაკლი მოდებაძის მენისკი და ოპერაცია

არცთუ დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, როცა ირაკლი მოდებაძე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისა და ზაპოროჟიეს „მეტალურგის" საუკეთესო თავდამსხმელი გახლდათ. სამწუხაროდ, ხშირმა ტრავმებმა მოდებაძის წინსვლა შეაჩერა, მან „მეტალურგის" ძირითადში ადგილი დაკარგა. შარშან ნოემბერში მოდებაძე ზაპოროჟიული კლუბის ხელმძღვანელობას შეუთანხმდა და კონტრაქტი ნაადრევად გაწყვიტა. თავიდან რუსულ „ამკარში" აპირებდა გადასვლას, მერე უკრაინულ „კრივბასში", თუმცა ისევ ტრავმებმა აურიეს დავთრები. ირაკლი ამჟამად საქართველოშია და ჩვენც ინტერვიუ ვთხოვეთ...

— მენისკი მაქვს და მალე მუხლზე ოპერაციას გავიკეთებ გერმანიაში. სურათი გავაგზავნე, დამიკავშირდებიან და მეტყვიან, როდის უნდა წავიდე ოპერაციის გასაკეთებლად. ალბათ, ერთ კვირაში მომიწევს გაფრენა.

— ტრავმა სად მიიღე?

— სამიოდ თვის წინ „კრივბასში" მივედი და მეორე თუ მესამე ვარჯიშზე დავშავდი. მას შემდეგ თბილისში ვარ. ექიმი მაიმედებდა, ოპერაცია არ დაგჭირდებაო, მეც ინდივიდუალურად ვვარჯიშობდი, დატვირთვებს ნელ-ნელა ვუმატებდი, მაგრამ სურათი გადავიღე მუხლზე და გამოჩნდა, რომ ოპერაცია აუცილებელი ყოფილა.

— დაახლოებით რა დრო გაგიცდება ოპერაციის შემდეგ?

— მაქსიმუმ 3 კვირა. ჩემპიონატის დაწყებისას მწყობრში ვიქნები.

— კლუბის მოძებნა არ გაგიჭირდება? ამდენი ხნის უთამაშებელი ხარ და...

— არა მგონია, გამიჭირდეს. ალბათ, ისევ უკრაინაში წავალ.

— „კრივბასში" გასინჯვაზე მიხვედი?

— გასინჯვა კი ერქვა, მაგრამ ტრავმა რომ არა, ეჭვი არ მეპარება, კონტრაქტს გამიფორმებდნენ. „კრივბასის" მწვრთნელი ალექსეი იარემჩენკოა, რომელიც ზაპოროჟიეს „მეტალურგის" თავკაცი იყო, როცა 17 წლის ასაკში ჩავედი ამ გუნდში. კარგად მიცნობს და ყოველთვის მენდობოდა. დიდი შანსია, სწორედ „კრივბასში" გავაგრძელო კარიერა. ვნახოთ...

— ახლა არ ნანობ, „მეტალურგიდან" რომ წამოხვედი?

— არანაირად. ვიცოდი, რასაც ვაკეთებდი.

— „ამკარში" რატომ ვერ მოეწყვე?

— შეკრებაზე პირველივე თამაშში გოლი გავიტანე, მაგრამ პირობებზე ვერ შევთანხმდით.

**ილია ნანობაშვილი**

# ქურდობა გლდანში

**გუშინ** გლდანში „ამერი 2"-ის ვარჯიშისას გასახდელში ვიღაც ხელმრუდე შეიპარა და ფეხბურთელები გაქურდა — წაღებულია ფული და მობილური ტელეფონები.

სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ასეთი ფაქტებით ვერავის გააკვირვებ... ალბათ, პოლიცია დაინტერესდება მომხდარით და იმედი ვიქონიოთ, რომ საქმე გაიხსნება.

**ლუკა თალაკვაძე**



ვაჟა კეთილაძის ფოტო

# 27 ესემესი შუა ქალაქში

## ტომოგრაფიული გამოკვლევა: ედმონტონელი

ცოტაოდენი ხნის წინ იყო, პოპულარულ ტელესერიალ „შუა ქალაქში" მთავარ გმირს, ირაკლის, რომელიც სცენარის მიხედვით „ბარსელონას" თავგადაკლული გულშემატკივარია, ერთ-ერთ სერიაში „სარბიელი" ეჭირა და „კროკოს" კოეფიციენტებს ჩაჰკირკიტებდა. მერე მეგობრებმა მითხრეს, ირაკლი, იგივე ოთარ ტატიშვილი, სერიალს მიღმაც ეგეთია, „სარბიელს" პირველი ნომრიდან კითხულობს და ბავშვობიდან „ბარსელონას" გულშემატკივრობსო. ერთი სიტყვით, ისეთ რესპონდენტად ჩავთვალე, სპორტული გაზეთის მკითხველისთვის მასთან ინტერვიუ საინტერესო რომ იქნებოდა. ისიც მითხრეს, სერიალის მსგავსად, ცხოვრებაშიც ექიმიაო და ჩვენი შეხვედრისას, რადიო „სინდიკატის" ოფისში რომ შედგა, საუბარიც ოთარ ტატიშვილის ექიმობით დავიწყეთ...

# ექიმი, მსახიობი და დიჯეი

— ხალხი „შუა ქალაქიდან" გიცნობს და ალბათ პროფესიონალი მსახიობი ჰგონიხარ. არადა, ექიმი ხარ...

— დიახ, ნეირორადიოლოგი ვარ, პირველ კლინიკურ საავადმყოფოში ვმუშაობ, ტვინის, ხერხემლის, ზურგის ტვინის, სახის ძვლების ტომოგრაფიულ გამოკვლევებს ვაკეთებ.

— და „შუა ქალაქში" როგორ მოხვდი?

— დათო გოგიჩაიშვილმა და გოჩა კორხელაურმა მითხრეს, ახალ პროექტს ვაკეთებთ და ქასტინგზე მოდიო. ერთმანეთს „კავეენიდან" ვიცნობთ და ვმეგობრობთ, მაგრამ სერიალში როლი რომ მივიღე, მეგობრობა მართლა არაფერ შუაშია. როგორც სხვებმა, მეც ზუსტად ისევე გავიარე ქასტინგი.

— რადგან „კავეენში" გამოდიოდი, სცენაზე ყოფნას შეჩვეული იქნები და ალბათ სერიალში თამაშიც არ გაგჭირვებია...

— ეგრეა, მაგრამ მაინც ვნერვიულობდი. „კავეენი" 11 წლის წინ იყო და ვფიქრობდი, ამდენი წლის მერე ფორმა ხომ არ დავკარგე-მეთქი. თანაც, სანამ პირველი სერია გავიდოდა, სამი საპილოტო სერია გადავიღეთ, მითხრეს, რა იყო კარგი და რა მქონდა გამოსასწორებელი. ერთსაც ვიტყვი, ბევრს უთქვამს, რა კარგად ერთობით „შუა ქალაქშიო". სინამდვილეში, ეს ეკრანზე ჩანს, რომ ვერთობით, თორემ გადაღება ძალიან სერიოზული შრომაა. სასაცილო სერიალი რომ გადაიღო, საქმეს სერიოზულად უნდა მიუდგე.

— და ამავე დროს რადიო „სინდიკატშიც" მუშაობ...

— „სინდიკატის" ტალღაზე შეგიძლიათ, ჯაზს მოუსმინოთ და მეც სწორედ ჯაზის სიყვარულმა მომახვედრა ამ რადიოში. ერთი მხრივ, სამუშაოა, მაგრამ აქ ყველაფრისგან ვისვენებ. ჯაზს პირველად 10 წლისამ მოვუსმინე და მას მერე მიყვარს. „სინდიკატი" რომ გაიხსნა, თავიდან აქ ჩემი ძმა მუშაობდა და სახლიდან ჩემი დისკები მოჰქონდა. უკითხავთ, საიდან გაქვს ჯაზის ამდენი დისკიო და ამის მერე დაინტერესდნენ ჩემთან თანამშრომლობით. ახლა ასეთი გრაფიკი მაქვს — სამი დღე გადაღებები, სამი დღე რადიო.

— მომდევნო კითხვა ბუნებრივად ჩნდება: ექიმად როდისღა მუშაობ?

— დღის პირველ ნახევარში და შაბათ-კვირას.

— სერიალში შენი გმირი „ბარსელონას" გულშემატკივარია, ეს შემთხვევით მოხდა თუ...

— სცენარის მიხედვით, ირაკლი რომელიმე გრანდის ფანი უნდა ყოფილიყო. კონკრეტულად რომლის, ამას სერიალისთვის პრინციპული მნიშვნელობა არ ჰქონდა და რადგან მე „ბარსელონას" ვქომაგობ, არჩევანიც ამ გუნდზე გაკეთდა. ისე, ასეთი ჩანაფიქრიც იყო, რომ ირაკლი ნაკლებად პოპულარული გუნდის ფანი ყოფილიყო, მაგალითად, „ფენერბაჰჩესი" ან „სტიაუასი", მაგრამ ეს ნაკლებ ბუნებრივი იქნებოდა და ისევ გრანდის გულშემატკივრობა გადაწყდა.

— საქართველოში არაერთ დიდ კლუბს გულშემატკივრობენ, მაგრამ დაკვირვებული ვარ, „ბარსელონას" ყველასგან განსხვავებული გულშემატკივრები ჰყავს...

— ამაზე არ მიფიქრია და არ დავკვირვებივარ. ისე, ლიგის ნახევარფინალში „ბარსელონა" „მანჩესტერმა" რომ გააგდო, იმ თამაშის მსვლელობისას 27 მესიჯი მომივიდა. აქედან 20 მესიჯში მე და „ბარსელონას" დაგვცინეს. იმ 20 მესიჯს შორის მამაჩემის მესიჯიც იყო — ის ინგლისურ ფეხბურთს გულშემატკივრობს, პირველ რიგში „ლივერპულს", მერე კი ყველა დანარჩენს, გინდ „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი" იყოს.

— როდის გახდი „ბარსელონას" გულშემატკივარი?

— ამ გუნდში დიდი ფეხბურთელები თამაშობდნენ, ბაკერო, გვარდიოლა, ამორი... ახლა მოუთმენლად ველი ახალ სეზონს, მაინტერესებს, გვარდიოლა რას შეცვლის და როგორი გუნდი ეყოლება. თუმცა ცოტა სკეპტიკურად ვარ განწყობილი, რადგან დიდი ფეხბურთელებიდან ძალიან ცოტა გამხდარა დიდი მწვრთნელი...

— შენი საყვარელი ბარსელონელი?

— შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოს, მაგრამ ხრისტო სტოიჩკოვი. რა თქმა უნდა, მასზე დიდი თავდამსხმელებიც არსებობენ, მაგრამ მან იმდენი გოლი და სასიამოვნო წუთი მაჩუქა...

— ისე, მძიმე ხასიათი ჰქონდა...

— კი, ეგრეა, მაგრამ ქველმოქმედიცაა, ბულგარეთშიც და აღმოსავლეთ ევროპაშიც უამრავ ადამიანს ეხმარება.

— საყვარელი ნაკრები?

— რა თქმა უნდა, ჰოლანდია. „ბარსელონა" ხომ, ფაქტობრივად, ჰოლანდიური გუნდია იოჰან კრუიფის დროიდან მოყოლებული. ესპანეთის ნაკრებიც მომწონს...

— როგორ ფიქრობ, ევროპის ჩემპიონი ვინ გახდება?

— ჰოლანდია.

— არა, გასაგებია, რომ ჰოლანდიას გულშემატკივრობ, მაგრამ ჩემპიონობის ყველაზე რეალური შანსი ვის აქვს?

— ჰოლანდიას.

— ხომ იცი, ჰოლანდიას ჯგუფში მეტოქეებად ვინ ჰყავს?

— კი და მგონია, რომ ჯგუფში იტალია ჩარჩება, რისთვისაც იტალიის ნაკრების გულშემატკივრებს, მათ შორის ჩემს ძმას, ბოდიშს ვუხდი. და საერთოდ, ასეთი ჯგუფიდან რომ გახვალ, ჩემპიონობა წარმოუდგენელია?!

— როგორ ფიქრობ, სენსაციის მოხდენა ვის შეუძლია?

— რატომღაც მგონია, რომ შვედეთს.

— იმიტომ, რომ ზლატან იბრაჰიმოვიჩი ჰყავს?

— არა მხოლოდ ზლატანის გამო. რატომღაც ასე მგონია...

— ფსონებს თუ ჩადიხარ?

— მაქვს ეს ცოდვა, თუმცა ავადმყოფურად არა. არც მე გავკოტრებულვარ ოდესმე და არც ტოტალიზატორი დამილუპია. ყველაზე დიდი წაგება 100 ლარი მაქვს, მოგება 670 ლარი.

— ესპანეთის ნაკრებიც ახსენე და, რაული რომ არ მიჰყავს ლუის არაგონესს ჩემპიონატზე, ამაზე რას იტყვი?

— რა გითხრა, რაული რომ ძალიან დიდი ფეხბურთელია, მტკიცება რად უნდა. თუმცა ერთი ძალიან დიდი ნაკლიც აქვს...

— ის, რომ „რეალში" თამაშობს?

— რა თქმა უნდა.

— ლუიშ ფიგუ?

— მოღალატეა! კატალონიაში რომ ჩავა, იქ ხალხს თვალებში როგორ უნდა შეხედოს?!

— და ლუის ენრიკე რომ გადავიდა „რეალიდან" „ბარსელონაში"?

— ეგ სხვა საქმეა... ლუის ენრიკე კარგი ბიჭია.

— ახლანდელ „ბარსელონაში" ვინ არ მოგწონს?

— ჯოვანი დოს სანტოსი არ მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოთარ ტატიშვილისთვის

## მენავთობეებიდან სტოიჩკოვის სიხარულამდე



[illegible] ფოტო

მწონს. კიდევ, ბოიან კრკიჩის შესაძლებლობებზე რომ ლაპარაკობენ, მგონია, რომ გადამეტებულია. და ყველაზე მეტად რამ დამწყვიტა, იცი, გული? ლიგის ნახევარფინალში „მანჩესტერს“ სათადარიგოთა სკამზე ისეთი ფეხბურთელები ჰყავდა, გუნდის გაძლიერება რომ შეეძლოთ, „ბარსელონას“ სკამზე კი ასეთი არავინ იჯდა. სამაგიეროდ, გაიხსენე, ჩემპიონთა თასს ჩემპიონთა ლიგა რომ დაერქვა, პირველად ვინ მოიგო? „ბარსელონამ“!

**— სტოიჩკოვი ახსენე. კიდევ ვინ მოგწონს განსაკუთრებით?**

— ბაკერო, კლუივერტი, რივალდო. მეკარეებიც: ვიქტორ ბაია, რუშთუ, ვალდესი... ასე მგონია, ჯამიროქვაი რომ ჩააყენო „ბარსელონას“ კარში, ისიც მომეწონება. კიდევ „ბარსელონას“ ცისფერი ფორმა მომწონს ძალიან.

**— ცისფერი ფორმა ახსენე და, საქართველოს ნაკრებზეც შეგვიძლია გადავიდეთ. ლატვიასთან ჩვენს ნაკრებს აქამდე უჩვეულო, ცისფერი ფორმა ეცვა...**

— და ძალიანაც მომეწონა. ყველაზე მეტად კი, შავი ფორმა რომ გვქონდა, ის მომწონდა. რატომ თქვეს უარი? მგონია, რომ ფორმა დასამახსოვრებელი უნდა იყოს. აი, ბრაზილიის, არგენტინის, პერუს, ხორვატიის ფორმები ხომ არასდროს დაგავიწყდება და ვერც რომელიმე სხვა გუნდის ფორმაში აგერევა. მეორე მხრივ, რამით დაგამახსოვრდება, ვთქვათ, რუსეთის ან საბერძნეთის ფორმები?

**— გეთანხმები, მაგრამ თამაშს მაინც გუნდი იგებს...**

— ეჰ... საქართველოს ნაკრები ჩემი ტკივილია... პირველ შესარჩევ ციკლში, რომელშიც დღემდე ყველაზე კარგი შედეგი გვქონდა, ბულგარეთს და უელსს გადავუარეთ, მოლდოვასთან კი ორივე მატჩი წავაგეთ. როგორ ვახერხებთ ამას? არადა, კიშინიოვის „ნისტრუს“ ლანჩხუთის „გურია“ და ბათუმის „დინამო“ უგებდნენ. როგორ არ უნდა დამწყდეს გული, როცა ვიცი, რომ გიო ქინქლაძე მსოფლიო დონის ვარსკვლავი შეიძლებოდა ყოფილიყო. გიორგი ანჩაბაძეს შეეძლო დიდი ფეხბურთის თამაში... რამდენი ასეთი ფეხბურთელი გვყავს დაკარგული?! კობიაშვილსაც, მგონია, რომ მეტი შეუძლია, ვიდრე თამაშობს. ამისთანა ფეხბურთელები გვყავს და იმას უნდა ვფიქრობდეთ, ესტონეთს მოვუგებთ თუ არა?!

**— ჰოდა, სწორედ ესტონეთთან თამაშზე რას ფიქრობ?**

— იაშვილის თამაშით გავიხარე. ხომ გახსოვს, როგორი პასი მისცა ყენიას! ვერ გამიგია, როგორ არ იძახებდა ნაკრებში ტოპმიოლერი. თან ამდენი წაგებული თამაშის მერე აღარც გვაფასებენ — სექტემბერში გლაზგოში ვიყავი სამედიცინო კონფერენციაზე, შოტლანდიასთან იქ უკვე წაგებული გვქონდა. ტაქსის მძღოლი მეტრაბახა და ვუპასუხე, ხომ გაქვთ ევროპის ჩემპიონატზე გასვლის კარგი შანსი, ჰოდა, იმ თქვენს შანსს თბილისში დავმარხავთ-მეთქი. მოკვდა სიცილით, თქვენ ფარერებს ძლივს მოუგეთო და...

**— ყველაზე ძლიერად რომელი ქართველი ფეხბურთელი მიგაჩნია?**

— შოთა! მახსოვს დავით ყიფიანიც, ვიტალი დარასელიაც, სხვებიც, მაგრამ იმ დროს ძალიან პატარა ვიყავი და ჩემთვის ფეხბურთი მხოლოდ გოლი და ვაშას ძახილი იყო. მოგვიანებით, როცა ფეხბურთის ყურება გააზრებულად დავიწყე, შოთაზე მეტად არავინ მომწონებია. დარწმუნებული ვარ, „ალკმაარში“ და „რეინჯერსში“ კი არა, „ბარსელონაშიც“ დიდ ფეხბურთს ითამაშებდა და კატალონიელთა კერპი იქნებოდა. აბა, წარმოიდგინე, შოთა არველაძე და პატრიკ კლუივერტი ერთად „ბარსელონაში“... ამასწინათ შოთას გოლები ვნახე ტელევიზორში, ზოგი აღარც მახსოვდა და ძალიან ვისიამოვნე.

**— ფეხბურთელებთან თუ გაქვს პირადი ურთიერთობა?**

— მეათე კლასში, როცა სამედიცინო ინსტიტუტში ჩასაბარებლად ვემზადებოდი, მამაჩემმა 35-ე სკოლაში გადამიყვანა. ჯამარაული, ყაველაშვილი, ლევან ყიფიანი და მე კლასელები ვიყავით...

**— სპორტსმენი პაციენტები თუ გყოლია?**

— ერთხელ ჩემთან ზურაბ მენთეშაშვილი ტომოგრაფიაზე მოიყვანეს, თამაშის დროს თავი გაუტყდა და ტვინის შერყევა ეგონათ... სხვა სპორტსმენებიც მოუყვანიათ. მაგალითად, ძიუდოისტები, ორი ჩილელი მორაგბეც მყავდა...

**— ალბათ, რაგბის ქომაგიც ხარ...**

— რაგბი საქართველოს ნაკრებმა შემაყვარა, ბავშვობიდან კი ფეხბურთის გარდა ჰოკეის დიდი მოყვარულიც ვარ.

**— საქართველო და ჰოკეი, ცოტა უცნაური კია...**

— მაშინ, აბა, სად გვქონდა ნჰლის ყურების საშუალება, მაგრამ მოსკოვის პირველ არხზე რომ აჩვენებდნენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის და „იზვესტიას“ ტურნირის მატჩებს, ვუყურებდი.

**— ალბათ, ცსკა-ს გულშემატკივრობდი...**

— არა, მოსკოვის „სპარტაკს“. მამაჩემი ქომაგობდა ამ გუნდს. ადრე „სპარტაკს“ ძმები მაიოროვების და სტარშინოვის სამეული ჰყავდა. მამაჩემი მეუბნებოდა, ძალიან მაგრები არიანო და ამ „სპარტაკით“ მეც „მოვიწამლე“. ჰო, კიდევ რიგის „დინამო“ მომწონდა...

**— მოგვიანებით ნჰლ-ზე გადაერთებოდი...**

— რა თქმა უნდა, კანადა! „ედმონტონ ოილერსი“!

**— რატომ მაინცდამაინც „ედმონტონი“?**

— იქ უეინ გრეცკი თამაშობდა, სანამ უფრო დიდ გუნდებში გადავიდოდა. კიდევ, პოლ კოფი, მარკ მესიე, მარიო ლემიე, სტივ აიზერმანი დეტროიტიდან. დიდი ჰოკეისტები ჰყავთ კანადელებს. ახლა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი რომ წააგეს რუსებთან, ერთი სიცოცხლე გავათავე.

**— სხვა სახეობები?**

— ზამთრის სახეობების მოყვარულიც ვარ კერლინგის ჩათვლით. აი, ფორმულას კი გული ვერ დავუდე, მანქანებში სუსტი ვარ. რბოლის შედეგებს ვეცნობი და პილოტებიც ვიცი, ვინ არიან, მაგრამ სხვა სახეობები უფრო მომწონს. მამაჩემმა ერთი ეგ ვერ შემაყვარა, თვითონ ნელსონ პიკეს ქომაგობდა თავის დროზე.

**— ბოლოს ერთსაც გკითხავ: „შუა ქალაქის“ ერთ სერიაში „სარბიელს“ კითხულობ. ეს სცენარით იყო გათვალისწინებული თუ...**

— „ბარსელონაზე“ რომ გითხარი, სცენარით ფანი უნდა ვყოფილიყავი და რომელი გუნდის, მნიშვნელობა არ ჰქონდა-მეთქი, აქაც იგივე შემთხვევა იყო. სპორტული გაზეთი უნდა დამეკავებინა და ფსონები მეთვალიერებინა. გადაღებაზე რომ მივედი, „სარბიელი“ მქონდა მიტანილი, იმიტომ, რომ ეს ჩემი გაზეთია. 1991 წლიდან თქვენი მკითხველი ვარ.

**გიორგი დარჯანია**



ძმები ბერაიები

# ბერაია წავიდა, ბერაია დარჩა

**აზერბაიჯანული** აგდამის „ყარაბაღის“ ხელმძღვანელობამ ქართველ ფეხბურთელ გოგა ბერაიას კონტრაქტი აღარ გაუგრძელა.

ასე რომ, ქართველ ფეხბურთელს ახალი კლუბის მოძიება მოუწევს.

შეგახსენებთ, რომ აზერბაიჯანში თამაშობს გოგას ძმაც — ირაკლი ბერაია ტოვუზის „თურანის“ ერთ-ერთი ლიდერია და ჩემპიონატის ბოლო ტურში, „ბაკისთან“ (2:2) მატჩში ტოვუზელებს პრემიერლიგაში ადგილი სწორედ მისმა გოლმა შეუნარჩუნა.

**ბაჩა შალამბერიძე**

# კინის 33 და უდრეკი კეილი

## საქართველომდე ნორვეგიაა

**ირლანდია 1:0 კოლუმბია**

**1:0 კინი**

**ირლანდია:** კეილი, ოში, დანი, მაკშინი, დელანი, დაფი, მილერი, მაკგიდი, ველანი, დოილი (მერფი 83), კინი

**მწვრთნელი:** ჯოვანი ტრაპატონი

**ლონდონში** „ფულემის“ სტადიონ „კრეივენ კოტეჯზე“ ჯოვანი ტრაპატონის ირლანდიამ რობი კინის სწრაფი გოლით მოუგო კოლუმბიას. ლაიამ მილერმა საჯარიმოში ჩააწოდა, იქ კი „ტოტენჰემის“ მეგოლე ორ მცველს შუა იყო მოქცეული, მაგრამ ბურთი მაინც გააძვრინა. ეს იყო მისი 33-ე სანაკრებო გოლი.

„კმაყოფილი ვარ. კარგია, რომ ჩემს ფეხბურთელებს საკუთარი თავის რწმენა აქვთ. მე მათ ვუთხარი, მთავარია, გამარჯვებული მენტალიტეტი გქონდეთ-მეთქი. ჩვენ უკეთ ვითამაშეთ, ვიდრე სერბეთთან (1:1). კარგი იყო დაცვა, განსაკუთრებით კი რიჩარდ დანისა და პოლ მაკშინის წყვილი“ — თქვა ნამატჩევს ტრაპატონიმ.

არადა, თამაშის ხასიათი ისეთი იყო, კოლუმბიას იქით უნდა მოეგო. „ვესტ ბრომვიჩის“ მეკარე დან კეილიმ სასწაული ბურთები აუღო ხუან ბუსტოსსა და გილერმო ესკობარს, სულ კი 7 დარტყმა მოიგერია.

„დიდებული საღამო იყო ჩემთვის. კარგია, რომ მშრალად შევინარჩუნე კარი. კოლუმბია ბევრ პრობლემას გვიქმნიდა“ — თქვა დან კეილიმ.

სამხრეთამერიკელები გაცილებით მეტს უტევდნენ, ბურთი თითქმის სულ მათ ჰქონდათ, ირლანდია კი კონტრშეტევებზე იყო ჩასაფრებული, თუმც ეს არცთუ მწვავედ გამოსდიოდა.

„სამაგიეროდ, ჩვენ უფრო მწყობრად ვითამაშეთ. ამასთან, სისწრაფეშიც ვჯობდით კოლუმბიელებს“ — თქვა „ტრაპიმ“.

რა შეხსენება გინდათ, რომ საქართველო — ირლანდია 6 სექტემბერს გაიმართება, მანამდე კი „კელტებს“ ერთი ამხანაგური მატჩი დარჩათ — 20 აგვისტოს ნორვეგიას სტუმრობენ.

**ილია ნანობაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# არაფერი შეგეშალოთ!



ბრუნო ლაბადია

„ლევერკუზენის" ახალი მწვრთნელი ბრუნო ლაბადია კარიერაში პირველ ბუნდესლიგურ სეზონს დიდი იმედით ელის.

შეგახსენებთ, რომ „დარმშტადტის" და „ფიურტის" ყოფილმა თავკაცმა „ფარმაცევტები" მიხაელ სკიბესგან ჩაიბარა.

სკიბე იმიტომ მოხსნეს, რომ გუნდი, ჩემპიონთა ლიგას ვინ ჩივის, უეფას თასზეც ვერ გაიყვანა. მომავალ სეზონში ლაბადიას უმთავრესი მიზანი კი „ლევერკუზენის" ევროსარბიელზე დაბრუნებაა.

„ჩვენ აუცილებლად უნდა დავბრუნდეთ ევროთასებზე — თქვა მან — ეს იოლი არ იქნება, რადგან ექვს, შვიდ და, შესაძლოა, რვა გუნდსაც იგივე მიზანი ჰქონდეს, მაგრამ სწორედ ამიტომ უნდა მოვემზადოთ და ვითამაშოთ სხვებზე უკეთ".

ბრუნო ლაბადიამ შეგირდები გააფრთხილა, რომ ის მკაცრი მწვრთნელია: „მოთამაშეებთან ურთიერთობაში ჩემთვის მთავარია პატივისცემა. ფეხბურთელებს ვერ მივცემ იმის უფლებას, რომ მხოლოდ სახელით მომმართონ. ყოველთვის ვცდილობ, დისტანცია დავიცვა და ძალიან არ გავიშინაურო".

„ის პატარა გუნდებს შემტევ და მიმზიდველ ფეხბურთს ათამაშებდა. სწორედ ისეთს, რომელიც „ლევერკუზენისთვის" ზედგამოჭრილია. ზუსტად მისნაირი კაცი გვჭირდებოდა, რომ ჩვენი ფეხბურთელების დიდი პოტენციალი ამოქაჩოს"— შეაქო ლაბადია კლუბის სპორტულმა დირექტორმა რუდი ფიოლერმა.

**გაგა ხუციშვილი**

# დონადონიმ მონტოლივო ახსნა

**რობერტო დონადონიმ** ახსნა, თუ რატომ გადაწყვიტა რიკარდო მონტოლივოს ავსტრია-შვეიცარიაში არწაყვანა.



„გადაწყვეტილება ბოლო მომენტში მივიღე. მიზეზი ნაკრების დაბალანსება გახლდათ. რიკარდო ახლა საუკეთესო ფორმაში არ არის, მის პოზიციაზე სხვა ფეხბურთელები გვყავს. შევთავაზე, ჩვენთან ერთად მაინც დარჩი-მეთქი და გამიხარდებოდა, თუ ასე მოხდებოდა. თუმცა მან არჩია, თანაგუნდელებს დამშვიდობებოდა და სახლში წასულიყო. არ დავმალავ, ეს რთული გადაწყვეტილება გახლდათ, მაგრამ მონტოლივოს ყველაფერი გულახდილად ავუხსენი და მანაც გაიგო. მითხრა, რომ ყველაფერს მიხვდა და თავს ზედმეტად არ გრძნობს. მას ჩინებული სეზონი ჰქონდა და დიდი მომავალი აქვს. მონტოლივო ანდრეა პირლოს ჰგავს? ტენქნიკითა და ნიჭით — კი. მთავარია, ასე გააგრძელოს" — თქვა დონადონიმ.

„სკუადრა აძურას" თავკაცმა ისიც აღნიშნა, ამიერიდან ფეხბურთელებს ტრანსფერებზე ლაპარაკი ეკრძალებათ, მხოლოდ ნაკრებზე უნდა იფიქრონ და თუ ჟურნალისტებიც ხელს შეგვიწყობთ, კარგი იქნება, ტრანსფერებზე აგენტებს ესაუბრეთო.

იტალიური პრესა იუწყება, დონადონის საჯაროდ არ უთქვამს, მაგრამ უაღრესად კმაყოფილია ანტონიო კასანოთი და ეგებ პირდაპირ ძირითად შემადგენლობაში დააყენოსო. საქმე ის არის, რომ „ხულიგანი" ვარჯიშებზე ჩინებულად ირჯება, გოლები გააქვს და მთლიანობაშიც ბრწყინვალედ თამაშობს.

„სკუადრა აძურას" წევრებმა ნომრებიც გაინაწილეს. აქ საინტერესო ის გახლდათ, რომ ელოდნენ, მაგიურ 10 ნომერს ალესანდრო დელ პიერო ან ანტონიო კასანო მიიღებდა, თუმცა პირველმა 7 ნომერი აირჩია, რომლითაც ბოლო წლებში თამაშობდა ნაკრებში, „ხულიგანმა" — 18, „ათიანი" კი დანიელე დე როსის დარჩა.

**გიორგი ძაძამაძე**

# ბარცალი იებზე განაწყენდა



**იტალიის** ნაკრების მცველმა ანდრეა ბარცალიმ მშობლიური ქალაქის, ფლორენციის „ფიორენტინას" წინადადება უარყო და „პალერმოდან" „ვოლფსბურგში" გადაბარგება არჩია.

არადა, „იებში" მისი გადასვლა თითქმის გადაწყვეტილი გახლდათ და ცოტა მოულოდნელი იყო, რომ ტრანსფერი ჩაიშალა. როგორც ირკვევა, მხარეები ფინანსურ დეტალებზე ვერ შეთანხმდნენ. ბარცალის აგენტი კლაუდიო ორლანდინი ყველაფერს „ფიორენტინას" აბრალებს.

„მხოლოდ ანდრეას დარ ფლორენციელს შეეძლო „ფიორენტინას" მაისურით თამაშის გულისთვის „ვოლფსბურგის" ორმაგად მიმზიდველ წინადადებაზე ეთქვა უარი. თუმცა „იებმა" ეს შესაძლებლობა ვერ გამოიყენეს, მაგრამ მათ გადაწყვეტილებას პატივს ვცემ და წარმატებებს ვუსურვებ. არადა, სხვაობა, რასაც ჩვენ ვითხოვდით და რასაც ისინი იხდიდნენ, მინიმალური გახლდათ — დაახლოებით 150 ათასი ევრო. ბარცალი მზად იყო, დიდი ფული დაეკარგა „ფიორენტინას" რიგებში თამაშის გულისთვის, მაგრამ..." — თქვა ორლანდინიმ.

ანდრეა ბარცალი: „ჩემი არჩევანით ბედნიერი ვარ. „ფიორენტინასთან" ჩემს მოლაპარაკებებზე და ჩაშლილ ტრანსფერზე ცოტა მოგვიანებით ვისაუბრებ, როცა ყველაფერი ჩაწყნარდება".

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ „ვოლფსბურგმა" „პალერმოს" კიდევ ერთი მცველი, კრისტიან ძაკარდო დაიმატა. ზაფხულში ბარცალი და ძაკარდო ერთად ჩაირიცხებიან „მგლების" რიგებში. არადა, იტალიური გრანდების გარდა, ამ წყვილით მიუნხენის „ბაიერნიც" გახლდათ დაინტერესებული.

**კოკი კანდელაკი**



# ბედნიერი ჯილა

**ალბერტო ჯილარდინო** ძალიან კმაყოფილი და გახარებულია „მილანიდან" „ფიორენტინაში" გადასვლით. მიუხედავად იმისა, რომ მას ხელფასის გვარიანად შემცირებაზე დათანხმება მოუხდა.

„ძალიან ბედნიერი ვარ, ოცნება ამიხდა. მალევე მივხვდით, რომ შეთანხმების მიღწევა უპრობლემოდ შეიძლებოდა და ამიტომ ეს ამბავი დროში აღარ გავწელეთ. ჩემს კარიერაში ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯია. მინდა ვთქვა, რომ მიყვარს ფლორენცია, „ფიორენტინა" ჩემთვის ზედგამოჭრილი გუნდია. რაც შეეხება „მილანს", იქ სამი მნიშვნელოვანი სეზონი გავატარე, პრესტიჟული ტურნირები მოვიგე და ბევრი რამ ვისწავლე" — განაცხადა 25 წლის თავდამსხმელმა.

„როსონერიში" „ჯილას" კარიერა ვერ აეწყო და ახლა ფორვარდი იმედოვნებს, რომ ძველებურად ათამაშდება. მით უმეტეს, რომ „ფიორენტინას" მწვრთნელი ჩეზარე პრანდელია, რომლის „პარმაშიც" ბრწყინავდა ჯილარდინო. გარდა ამისა, „იების" ამჟამინდელ ლიდერ ადრიან მუტუსთან ერთად მას იმავე „პარმასა" და „ვერონაში" უთამაშია.

„პრანდელისთან განსაკუთრებული ურთიერთობა მაქვს. მასთან ერთად მუშაობისას ძალიან გავიზარდე და დავიხვეწე. მინდორს გარეთაც ჩინებული ურთიერთობა გვაქვს. მუტუსაც საუცხოოდ ვიცნობ. მასთან ერთადაც სიამოვნებით ვითამაშებ და ჯამპაოლო პაცინისთან ერთადაც. ადგილი ყველასთვის იქნება" — დასძინა ჯილარდინომ.

**გიორგი ძაძამაძე**

# ხუმარა გალიანი

**იტალიური** „მილანის" ბანაკში იუმორით შეხვდნენ ხმებს, თითქოს „როსონერის" მწვრთნელი კარლო ანჩელოტი პოსტის დატოვებასა და ლონდონის „ჩელსის" ჩაბარებას აპირებდეს.

„ძალიან მსიამოვნებს, რომ „ჩელსი" ანჩელოტითაა დაინტერესებული. რომან აბრამოვიჩს კარლოს სანაცვლოდ 35 მილიონი გირვანქა ვთხოვე. ჩვენ ყოველთვის განვიხილავდით ანჩელოტის დიდიე დროგბაში გაცვლის ვარიანტს. თუმცა ალბერტო ჯილარდინოს გაყიდვის შემდეგ, ორი ფორვარდი გვჭირდება. ამიტომ, ლონდონელებს კარლოს სანაცვლოდ დროგბასა და ანდრეი შევჩენკოს მოვთხოვთ". — ღიმილით განაცხადა „მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ.

პარალელურად, „მილანის" ერთ-ერთი სამიზნე, 21 წლის ფრანგი მეკარე უგო ლორისი „ნიცადან" „ლიონში" გადავიდა. ამან გაამყარა გავრცელებული ინფორმაცია, „როსონერიმ" კრისტიან აბიატის დატოვება გადაწყვიტა და ახალი მეკარის შეძენას არ აპირებსო.

**კოკი კანდელაკი**



| აშშ | მექსიკა |
|---|---|
| კლაუსურა. პლეი ოფი | მეიჯორ ლიგა |
| ფინალი. I მატჩი | X ტური |
| კრუზ ასული 1:2 სანტოსი | ნიუ ინგლენდი 2:2 ვაშინგტონი |



# სინიშას მანჩინის წასვლა ეწყინა

**რობერტო მანჩინი** „ინტერის" მთავარი მწვრთნელი რომ აღარ არის, უკვე ვიცოდით, მაგრამ ეს ამბავი ოფიციალურად ხუთშაბათ საღამოს გაფორმდა და გაცხადდა.

„გადავწყვიტეთ, მწვრთნელი რობერტო მანჩინი მოგვეხსნა. ამის ძირითადი მიზეზი 11 მარტს, „ინტერისა" და „ლივერპულის" მატჩის შემდეგ წასვლის შესახებ გაკეთებული კომენტარები გახლდათ" — ნათქვამია „ნერაძურის" ოფიციალურ განცხადებაში.

სინიშა მიხაილოვიჩმა, რომელიც „ინტერში" მანჩინის თანაშემწედ მუშაობდა, განაცხადა, რომ კლუბის პრეზიდენტის მასიმო მორატის გადაწყვეტილებით გაოგნებულია. სერბის აზრით, მორატის მანჩინი არ უნდა მოეხსნა.

„ნამდვილად არ ველოდი, თუ მორატი ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებდა. ნამდვილად არ ვეთანხმები იმას, რაც მოხდა. მანჩინის გუნდში მუშაობა და მოგება უნდა გაეგრძელებინა. ამისთვის მას ერთი-ორი ახალწვეული დასჭირდებოდა და არანაირი პრობლემა არ იქნებოდა" — თქვა მიხაილოვიჩმა.

შეგახსენებთ, რომ „მანჩო", რომელსაც ახლა „ჩელსისა" და სხვა კლუბებს უკავშირებენ, „ინტერში" ოთხი წელი მუშაობდა და გუნდს სამჯერ სკუდეტო, ერთხელ კი იტალიის თასი მოაპოვებინა, მაგრამ მორატიმ იგი მაინც მოხსნა.

„რობერტომ ეს ძალიან ცუდად მიიღო და უაღრესად გულდაწყვეტილია. როგორც კი პრეზიდენტთან შეხვედრიდან გამოვიდა, დამირეკა, რათა ეს ამბავი ეთქვა. მორატის გადაწყვეტილება ნამდვილად მცდარი იყო" — დასძინა მიხაილოვიჩმა.

„ნერაძურის" ლიდერი ზლატან იბრაჰიმოვიჩი კი სხვაგვარად ფიქრობს, მას მიაჩნია, რომ მორატი სწორად მოიქცა. სხვათა შორის, „იბრაკადაბრას" ბოლო პერიოდში 44 წლის სპეციალისტთან კარგი ურთიერთობა არ ჰქონია.

„თქვენზე მეტი არაფერი ვიცი. ეს მორატის საქმე გახლდათ, უფროსი და გადაწყვეტილებებს იგი იღებს. მჯერა, რომ მორატი მუდამ მართალია" — თქვა 26 წლის იბრაჰიმოვიჩმა.

ოფიციალური დასტური ჯერ არ არსებობს, მაგრამ გავრცელებული ცნობით, თითქმის გადაწყვეტილია, რომ „ინტერს" ჟოზე მაურინიუ ჩაიბარებს.

ზლატან იბრაჰიმოვიჩი: „ჟოზე ბრწყინვალე მწვრთნელია, ეს ყველამ იცის. რაც შეეხება ჩემს მომავალს, „ინტერში" თავს კარგად ვგრძნობ და წასვლა არ მინდა. სკუდეტოები უკვე მოვიგეთ და ახლა გვინდა, ჩემპიონთა ლიგაში ვიმარჯვოთ".

**გიორგი ძაძამაძე**

# იბრაჰიმოვიჩი ეტოოში იცვლება

**აპენინური** ჟურნალ-გაზეთები იუწყებიან, მილანის „ინტერის" სავარაუდო ახალი მწვრთნელის ჟოზე მაურინიუს სასურველთა სიაში ერთ-ერთი პირველი სამუელ ეტოოა. იმასაც ამბობენ, „ნერაძურიმ" უკვე დაიწყო კამერუნელის ხელში ჩასაგდებად მუშაობა და პრეზიდენტი მასიმო მორატი ბარსელონაში მოლაპარაკებების გასამართად ჩაფრინდაო.

გავრცელებული ინფორმაციით, „ინტერს" „ბარსელონასთვის" ფულთან ერთად ადრიანო შეუთავაზებია, მაგრამ კატალონიელებს უარი უთქვამთ. ახლა ეტოოს ზლატან იბრაჰიმოვიჩში გაცვლაზე მიდის საუბარი. ეს ვარიანტი არ გამორიცხა ბოსნიური წარმოშობის შვედის აგენტმა მინო რიოლამაც.

„არის შანსი, რომ „იბრა" ეტოოში გაიცვალოს, თუმცა კლუბები ჯერ ერთმანეთში უნდა შეთანხმდნენ და თუ ეს მოხდა, „ბარსელონას" ზლატანის პირადი კონტრაქტის დეტალებზე მერე დაველაპარაკებით. თითქმის გადაწყვეტილია, რომ „ინტერში" ჟოზე მაურინიუ მოდის და თუ მას მართლაც არ მოსწონს იბრაჰიმოვიჩი, მისთვის წასვლა აჯობებს" — თქვა რიოლამ.

„კორიერე დელო სპორტის" ცნობით, ეტოოს უკვე უთქვამს სხვა ბარსელონელებისთვის, „ინტერში" მივდივარო.

**გიორგი ძაძამაძე**

## ამხანაგური მატჩები

# ვან ნისტელროოიმ ოცდაათის გადააბიჯა

**ჰოლანდია 1:1 დანია**

**1:0 ვან ნისტელროოი (30), 1:1 პოულსენი (56)**
**ჰოლანდია: ვან დერ სარი, ჰეიტინგა, ოიერი (დე იონგი 46), მატიისენი, ვან ბრონკჰორსტი, სნეიდერი (აფელაი 82), ენგელაარი (დე კლერი 66), რობენი (ბაბელი 77), ვან დერ ვაარტი (კუიტი 64), დე ზეუვი, ვან ნისტელროოი (ვენეგოორ ოფ ჰესელინკი 65)**
**მწვრთნელი: მარკო ვან ბასტენი**
**მსაჯი: ტონი შაპრონი (ბელგია)**
**35 000 მაყურებელი**

**ევროპის** ჩემპიონატისთვის სამზადისში მარკო ვან ბასტენმა პირველად მოუყარა თავი ოპტიმალურ შემადგენლობას, მაგრამ დანიასთან ფრეს დასჯერდა.

უკრაინასთან მოგებული (3:0) მატჩის შემდეგ მწვრთნელმა რამდენიმე ცვლილება გააკეთა. ძირითად შემადგენლობაში გამოჩნდნენ ვან დერ სარი, არიენ რობენი, უესლი სნეიდერი და რუუდ ვან ნისტელროოი.

გარდა ამისა, წინა შეხვედრისგან განსხვავებით, დაცვის ცენტრში უილფრედ ბოუმას მაგივრად იორის მატიისენმა ითამაშა. საყრდენებად დემი დე ზეუვი და ორლანდო ენგელაარი იყვნენ.

სნეიდერი, ვან დერ ვაარტი და რობენი ერთადერთ ფორვარდს, ვან ნისტელროოის ზურგს უმაგრებდნენ.

ამ კვირის დასაწყისში ვან ბასტენმა თქვა, რომ „რეალის" მეგოლე მისი გუნდის ნომერ პირველი თავდამსხმელი იქნება ევრო 2008-ზე.

ალბათ გახსოვთ, რომ მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატზე ფეხბურთელი მწვრთნელზე გაბრაზდა, რადგან სამ მატჩში შეცვალა, პორტუგალიასთან კი საერთოდ არ ათამაშა.

ნაწყენმა ვან ნისტელროოიმ განაცხადა, ნაკრებში მანამ არ დავბრუნდები, სანამ ვან ბასტენი არ წავაო. 2007-ის იანვარში კი „რეალის" მეგოლემ ბრძანა, სანაკრებო კარიერა დავასრულეო.

სატელეფონო საუბრების შედეგად, მწვრთნელ-ფეხბურთელი შერიგდნენ და შარშან შემოდგომაზე ეროვნულ გუნდში დაბრუნება ვან ნისტელროოიმ ბულგარეთთან მატჩში გოლით აღნიშნა.

დანიასთან პირველ ტაიმში მომენტები რობენმა, მატიისენმა და ვან დერ ვაარტმა ვერ გამოიყენეს, ვან ნისტელროოიმ კი საგოლე კომბინაცია თვითონ დაიწყო და 31-ე სანაკრებო გოლით დაასრულა.

შესვენების შემდეგ „ნარინჯისფერებს" თამაში აღარ წაუვიდათ და შეცდომები მოუმრავლდათ. მატიისენს ნიკლას ბენდტნერმა აჯობა და ბურთი კარის წინ პოულსენს გაუგორა, რომელმაც ორიოდ მეტრიდან შეაგდო.

გოლს ვან ბასტენმა სამი ცვლილებით უპასუხა და გუნდმა ისევ კარგად შეუტია, მაგრამ სნეიდერმა, კუიტმა და ვენეგოორ ოფ ჰესელინკმა ვერ გაიტანეს.

„პირველ ტაიმში კარგად ვითამაშეთ, მაგრამ მეტის გატანა გვმართებდა — თქვა ვან ბასტენმა — არიენ რობენი საუცხოო იყო, რაც ძალიან მახარებს. მეორე ნახევარში პრობლემები გვქონდა, თუმც ეს ბუნებრივია, რაკი ერთკვირიანმა ინტენსიურმა ვარჯიშმა ფეხბურთელები ცოტა გადაღალა".

ჩემპიონატამდე ბოლო ამხანაგურ მატჩს ჰოლანდია ხვალ, როტერდამში უელსთან გამართავს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# შენთურქმა თურქეთი გახსნა

**თურქეთი 2:0 ფინეთი**

**1:0 თუნჯაი (15), 2:0 სემიჰი (88)**
**თურქეთი: ვოლქანი, სერვეთი, საბრი, გიოქმან ზანი, ჰაქან ბალთა, მეჰმეთ აურელიო (მეჰმეთ თოფალი 87), ემრე (კარადენიზი 90), მევლუთი (კაზიმ-რიჩარდსი 74), ალთინთოფი (აქმანი 78), ნიჰათი (სემიჰი 82), თუნჯაი (თურანი 67)**
**მწვრთნელი: ფათიჰ თერიმი**
**მსაჯი: ტორსტენ კინჰოფერი (გერმანია)**
**15 036 მაყურებელი**

**ევროპის** ჩემპიონატის დაწყებამდე ბოლო ამხანგურ მატჩში თურქეთმა ფინეთს მოუგო, რომლისთვისაც ეს ზედიზედ მესამე მარცხია.

შეგახსენებთ, რომ წინა ამხანაგური შეხვედრა ოსმალოებმა ურუგვაისთან წააგეს, არადა ორჯერ უგებდნენ.

ფათიჰ თერიმის გუნდს დაცვაში პრობლემა ჰქონდა, მაგრამ „გალათასარაის" ტრავმამოშუშებული მცველი სერვეთ ჩეთინი დაბრუნდა და პრობლემაც გამოსწორდა.

ძირითად შემადგენლობაში იყო „ფენერბაჰჩეს" ნახევარმცველი მეჰმეთ აურელიოც, ვინც მწვრთნელმა ურუგვაისთან მატჩში სათადარიგოებში დატოვა, და ასევე საბრი სარიოღლუ და თუნჯაი შანლი. სწორედ ამ ორის კომბინაცია დასრულდა გოლით მეთხუთმეტე წუთზე. სარიოღლუმ მარჯვნიდან ჩააწოდა, „მიდლსბროს" ფორვარდმა კი ახლოდან გაიტანა.


ჰამით ალთინთოფი

გოლის შემდეგ უპირატესობას ფინელები ფლობდნენ, მაგრამ ერიომენკოს ვოლქანმა აუღო, ფორსელმა კი კარგი მომენტი ვერ გამოიყენა.

თავის მხრივ, საბრი სარიოღლუს შეეძლო გატანა, თუმც საჯარიმოს შიგნიდან დარტყმული ბურთი ენკელმანმა მოიგერია.

თურქულმა მედიამ განსაკუთრებით აღნიშნა 22 წლის შემტევი ნახევარმცველის მევლუთ ერდინჩის გარჯა, რომელიც „სოშოში" თამაშობს.

ფათიჰ თერიმმა შეცვლები 67-ე წუთიდან დაიწყო და ნიჰათის მაგივრად შესულმა სემიჰ შენთურქმა გაუმართლა. „ფენერის" თავდამსხმელმა თანაგუნდელი კაზიმ კაზიმ-რიჩარდსის პასით სანაკრებო გოლების ანგარიში გახსნა.

თურქები ევროპის ჩემპიონატზე პირველ მატჩს 7 ივნისს ჟენევაში პორტუგალიასთან ითამაშებენ.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ჩელსიში ტენიანობამ იკლო




**„ჩელსის“** ასისტენტი მწვრთნელი ჰენკ ტენ კატე თანამდებობიდან დაითხოვეს — ასე და ამგვარად, „ჩელსის“ მეპატრონე და ჩუკოტკის მილიარდერი გუბერნატორი რომან აბრამოვიჩი, ჩემპიონთა ლიგის ფინალში „მანჩესტერ იუნაიტედთან“ დამარცხების შემდეგ, ლონდონელთა სამწვრთნელო შტაბის წმენდას განაგრძობს. როგორც მოგახსენეთ, მისი ბოლო მსხვერპლი საძაგელი ხასიათის, მაგრამ დიდი ცოდნის ჰოლანდიელია.

ტენ კატე „სტემფორდ ბრიჯზე“ გასული წლის ოქტომბერში მივიდა. სტივ კლარკთან ერთად, ის ავრაამ გრანტის თანაშემწეობას სწევდა.

შეგახსენებთ, რომ „ჩელსი“ გრანტის შემცვლელის ძიებაშია. ასახელებენ რობერტო მანჩინის, მარკ ჰიუზის, გუს ჰიდინკის და ლუიშ ფელიპე სკოლარის კანდიდატურებს. ახსენეს კარლო ანჩელოტიც, მაგრამ ეს სიმართლეს არ ჰგავს.

53 წლის ტენ კატეს 2010 წლამდე ჰქონდა კონტრაქტი. რამდენიმე დღის წინ მან პრესას განუცხადა, რომ კლუბის აღმასრულებელმა დირექტორმა პიტერ კინიონმა სამსახურში დარჩენის გარანტია მისცა. როგორც ჩანს, ამაოდ...

**ბაჩუნა ძიძია**

ცოცხლიზაცორი

**1X2 ამფსონეზი**

სათამაშო სახლში ყურმოკრული სამშაბათობით და შაბათობით

კოდი — წყვილი — შედეგი — კოეფ-ტი — სისტ

— ეს „სირიუსიც“ თუ იყომარებდა, არ მეგონა, ტო. ნახე, რა ბილეთი წამაგებინა?

— რა გეწერა?

— რა მეწერა და პარიზში რო იწვიმებდა დავსვი, მაგას მივაბი მანჩინის მოხსნა და „ურალის“ ერთიანი „მაშუკთან“.

— მერე?

— აძინ ი პიატ კუში გამოვიდა და მეთქი დავამრგვალებ. „ენჩოპინგის“ იქსდვა არა ვხიე „სირიუსთან“?

— რამ დაგაწერინა „სირიუსის“ წაგება, ტო. იგროკი კაცი ხარ. ჯერ მარტო ეგეთი სახელის გუნდი ბილეთში როგორ ჩაწერე, ჩემთვის მაინც გეკითხა.

— შენთვის რა უნდა მეკითხა, მერე გავიგე, რო „ენჩოპინგის“ იქსდვა დაგრუზულა და ერთიანში იმიტო წამოვიდა.

— რა დაგრუზულა, შენ მეტნაკლებად ხო არა ხარ, ტო. ცვეტში ვიცი, რო ეგენი პროცესს გეთამაშებიან.

— რა პროცესი, ძმაო, რას უბერავ, ტაიმბოლის კუში ხო არ გადაყლაპე?

— აბა შენა ყოფილხარ რა, პროფესორი! პირველი ტაიმის ნიჩიას რო მიგიგავს სიფათი. იმენა თუ გინდა, გაგიმაზავ, პარიზში რო არ ეწვიმა, „სირიუსი“ მაგ თამაშს წააგებდა, ტო.

ხალხს გადაბმული ჰქონდა „ენჩოპინგის“ მოგება და წვიმის მოსვლა. ორივე რო დამჯდარიყო, გატყავდებოდნენ.

იმიტო გეუბნები, პროცესს გეთამაშებიან-მეთქი. წვიმა დაგისვეს, „სირიუსი“ გატეხეს გაიგე? ერთი ზვანოკი უნდა და ტაიმებს შორის პერერივზე გასახდელში ყველაფერი მოყომარებულია.

— შენ თავში ხო არ გიწკრიალებს? რა ზვანოკი და პროცესი, ძმაო. შეილება „სირიუსმა“ იყომარა და არმოსაგები მოიგო, მარა წვიმაზე რო ბაზრობ, მაგარი სისულელეა.

— კიდე გეუნები, ტო, შენ რო „ენჩოპინგის“ იქსდვა დაწერე, იქ უკვე იცოდნენ და პროცესს გეთამაშებიან-მეთქი და თუ არა გჯერა, სუ არ მეაძინიქსება.

— კაი, ჰო, „პროცესორ“, დაწყნარდი. დღეს რას ფიქრობ?

— მე მგონი ლესოტოს ორიანი იკვეთება გაბონთან და მადაგასკარის მეტი ბოტსვანასთან

— ლესოტო მეც მაგრა მგონია, 4-4-2 და რამე, მარა მადაგასკარი რა პონტშია მეტი?

— ხო იცი, ტო, რა ჯიგარი გუნდია მადაგასკარი. ზაშიტაში არ ჩაჯდება. თვითონაც თამაშობს და სხვასაც ათამაშებს..

**ძუში ძოწმარია**

ჩემი ბილეთი:
001 რუანდა—მავრიტანია
შედეგი:
მეორე ტაიმში ტრიბუნიდან შუბს ისვრიან
სავარაუდო მოგება: სამი კუბომეტრი პალმა
მომდევნო ამფსონებში შეიტყობთ, თუ რა დაუძახა მორატიმ ოფისის ფანჯრიდან მანჩინის, როცა ეს უკანასკნელი „ფიატში“ ჯდებოდა.

114140 *

## რუნი: ტევესი ძალიან გვჭირდება

**ინგლისური** „მანჩესტერ იუნაიტედის“ ერთ-ერთი ლიდერის, უეინ რუნის აზრით, კლუბმა არგენტინელი კარლოს ტევესი „ვესტ ჰემიდან“ ბოლომდე უნდა გამოისყიდეს და მასთან მრავალწლიანი კონტრაქტი გააფორმოს.

„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ტევესი ჩვენი საკუთრება გახდეს და კლუბთან ხანგრძლივი კონტრაქტი გააფორმოს. მჯერა, ასეც იქნება. მას აქაურობა მოსწონს, თამაშისგან სიამოვნებას იღებს და „მანჩესტერისთვის“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელიცაა“ — აღნიშნა რუნიმ.

## გრეტნა დაისაჯა

**შოტლანდიური** „გრეტნა“ ქვეყნის ჩემპიონატში 2002 წელს ჩაერთო, 3 დივიზიონი მოიგო და გასული სეზონი პრემიერლიგაში გაატარა, მაგრამ... კლუბს სერიოზული ფინანსური პრობლემები შეექმნა, ამის გამო ქულები დააკლეს და „გრეტნაც“ უშანსოდ დარჩა ბოლო ადგილზე. გაჭირვებულს ქვა აღმართში დაეწია — რაკი ფინანსური პრობლემები ვერ გამოასწორა, არა პირველში, არამედ მეორე დივიზიონში დააქვეითეს.

## გატუზო არა, ბუტი კი

**მიუნხენის** „ბაიერნის“ ხელმძღვანელობამ ოფიციალურად დაადასტურა, რომ ბოლომდე იბრძოლა ჯენარო გატუზოს ხელში ჩასაგდებად, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოუვიდა. „მილანმა“ ფეხბურთელის დარწმუნება შეძლო და რინო შეინარჩუნა.

სამაგიეროდ, „ბაიერნის“ ბანაკში ოპტიმისტურად არიან განწყობილნი „ბენფიკას“ მეკარის, 34 წლის ჰანს-იორგ ბუტის ტრანსფერის თაობაზე. თითქმის გადაწყვეტილია, რომ მომავალ სეზონში მიხაელ რენზინგთან ერთად მიუნხენელთა გოლკიპერი ისიც იქნება.

## ლუიშ ფაბიანო ჩვენია!

**ესპანური** „სევილიას“ უფროსობას გუნდის მთავარმეგოლის, ბრაზილიელი ლუიშ ფაბიანოს შენარჩუნება სურს და დარწმუნებულია, რომ ამას შეძლებს. არადა, 26 წლის ფორვარდით „მანჩესტერ იუნაიტედი“ და ბევრი სხვა კლუბია დაინტერესებული.

„იგი ჩვენთან, სულ მცირე, კიდევ ერთი სეზონი დარჩება. ახალი კონტრაქტის თაობაზე მოლაპარაკებებს ვმართავთ. გვინდა, მასთან ოთხწლიანი შეთანხმება გავაფორმოთ“ — განაცხადა „სევილიას“ პრეზიდენტმა ხოსე მარია დელ ნიდომ.

## ესპანიოლმა რიერა არ გაუშვა

**„ესპანიოლმა“** ალბერტო რიერას გაშვება არ ისურვა. გავრცელებული ინფორმაციით, ინგლისური „ლივერპული“ ესპანეთის ნაკრების ფეხბურთელში 9,5 მილიონ გირვანქას იხდიდა, მაგრამ კატალონიელებმა მერსისაიდელები უარით გაისტუმრეს.

## ზაქი უიგანში

**ეგვიპტის** ნაკრებისა და „ზამალექის“ თავდამსხმელი ამრ ზაქი, შესაძლოა, ინგლისურ „უიგანში“ აღმოჩნდეს. ბრიტანული პრესის ცნობით, პრემიერლიგის ბინადრებს მისი ერთი წლით თხოვება უნდათ. ზაქის სხვა მსურველებიც ჰყავს.

## იებდა გაარჩივდა

**პორტუგალიურმა** „ბენფიკამ“ ჰასან იებდა შეიძინა. 24 წლის ფრანგმა ნახევარმცველმა გასული სეზონი „ლე მანში“ გაატარა და საფრანგეთის ჩემპიონატში ჩატარებულ 17 მატჩში 3 გოლი გაიტანა. მას „რომა“, „არსენალი“ და „უიგანიც“ იწვევდნენ. იებდამ „არწივებთან“ 2012 წლამდე გააფორმა კონტრაქტი.

## პარმა პანის ჩააბარეს

**ლუიჯი პანი,** ვინც ბოლო პერიოდში „ემპოლიში“ მუშაობდა, „პარმას“ მწვრთნელი გახდა. 58 წლის სპეციალისტმა „ენიო ტარდინის“ ბინადრებთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა და მისი მიზანი, ცხადია, გუნდის სერია A-ში რაც შეიძლება ჩქარა დაბრუნება იქნება.

## კალიარის ალეგრი გაწვრთნის

**მომავალ** სეზონში იტალიურ „კალიარის“ 40 წლის მასიმო ალეგრი გაწვრთნის. შეგახსენებთ, რომ სარდინიელებმა, მიუხედავად ძალიან კარგი მუშაობისა, პოსტიდან ცოტა ხნის წინ დავიდე ბალარდინი დაითხოვეს. მხარეები ახალი კონტრაქტის ფინანსურ დეტალებზე ვერ შეთანხმდნენ.

პარალელურად „კალიარიმ“ „მილანისგან“ ბოლომდე გამოისყიდა 23 წლის თავდამსხმელი ალესანდრო მატრი.

## ლიპიმ ჩელსი გამორიცხა

**ცნობილი** სპეციალისტი მარჩელო ლიპი ორწლიანი პაუზის შემდეგ ფეხბურთში დაბრუნებას აპირებს და მას ლონდონის „ჩელსისაც“ უკავშირებენ, მაგრამ ლიპიმ ეს ვარიანტი გამორიცხა.

„არა, არა, არა, „ჩელსის“ მწვრთნელი არ ვიქნები. უმნიშვნელოვანესია, რომ მწვრთნელი უშუალოდ ელაპარაკებოდეს ფეხბურთელებს, მე კი ეს არ შემიძლია, ინგლისური არ ვიცი“ — აღნიშნა 60 წლის ლიპიმ.

**გიორგი ძაძამაძე**



# რუნის დაოკება

**ინგლისის** ნაკრების მწვრთნელი ფაბიო კაპელო „მანჩესტერ იუნაიტედის“ ვარსკვლავთან, უეინ რუნისთან დალაპარაკებას აპირებს. საუბრის თემა მისი თანდაყოლილი აგრესიის მოთოკვა იქნება.

გეხსომებათ, რუნიმ მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატზე პორტუგალიასთან შეხვედრაში მსაჯს თავი გააგდებინა, ხოლო სულ ბოლოს, აშშ-ის გუნდთან ამხანაგური მატჩის დროს, თავისი ფეთქებადი ხასიათი რამდენჯერმე გამოამჟღავნა. ერთხელ იყო და რიკარდო კლარკზე თავდასხმის გამო გაფრთხილებას გადარჩა, თუმცა მეორედ, ფრენკი ჰეიდუკთან შეტაკება ყვითლად შეუფასეს.

„შემდეგზე, როდესაც ბიჭებს შევხვდები, რუნის აუცილებლად დაველაპარაკები და ვეტყვი, რომ მეტოქეებთან ასე მივარდნა საჭირო არ არის“ — უთხრა კაპელომ ჟურნალისტებს.

და როდის შეხვდება იტალიელი მწვრთნელი ბიჭებს? მოგეხსენებათ, ინგლისის ნაკრებს ტრინიდადისა და ტობაგოს ეროვნულ გუნდთან კვირასაც კი აქვს თამაში, მაგრამ ამ შეხვედრიდან კაპელომ შვიდი მოთამაშე, მათ შორის რუნი გაათავისუფლა, ასე რომ, საუბარი „მივარდნების“ შესახებ მწვრთნელსა და შეგირდს შორის აგვისტოში, ჩეხეთთან ამხანაგური მატჩის წინ გაიმართება.

**პაპუნა ძიძია**

# სოროსი და რომა ჩაიშალა

**ჯორჯ სოროსისა** და „რომას“ შესახებ ბოლო პერიოდში ბევრი დაიწერა, მაგრამ, როგორც ჩანს, ახლა ყველაფერი საბოლოოდ გადაწყდა — 77 წლის სოროსი „ჯალოროსის“ ყიდვით დაინტერესებული აღარ არის.

„სოროსი მართლაც დაინტერესებული გახლდათ „რომათი“, რომელიც მისთვის ერთ-ერთი სამომავლო ბიზნესგეგმა გახლდათ. საბოლოოდ, მან გადაწყვიტა, მოლაპარაკებები შეეწყვიტა. სოროსი „რომაზე“ აღარ ფიქრობს“ — უთქვამს სოროსის წარმომადგენელს ნიუ იორკის „დეილი ნიუსისთვის“.

## კასანო გადაწყდა

**გუშინ** „სამპდორიამ“ მადრიდის „რეალთან“ შეთანხმება შეძლო და ანტონიო კასანო საბოლოოდ გამოისყიდა. ამბობენ, გენუელები სამეფო გუნდს სამი წლის განმავლობაში დაახლოებით 8 მილიონ ევროს გადაუხდიან, 25 წლის ფეხბურთელთან კი ხუთწლიან კონტრაქტს გააფორმებენ, ხოლო თავად კასანო ჯამაგირად სეზონში 3,3 მილიონ ევროს მიიღებს. კასანოს მსურველისთვის გამოსასყიდი თანხა 23 მილიონი ევრო იქნებაო.

## კიევო დაბრუნდა

**მომავალი** სერია A-ს ერთი ახალი გუნდის ვინაობა უკვე ცნობილია. უმაღლეს ლიგას „კიევო“ დაუბრუნდა. ვერონელებმა სერია B-ში ჩინებული სეზონი ჩაატარეს და დაწინაურება ალალად დაიმსახურეს. გუნდის სპორტული დირექტორ ჯოვანი სარტორის თქმით, 99,9 პროცენტით გადაწყვეტილია, რომ „მფრინავი ვირების“ მწვრთნელად ჯუზეპე ლაკინი დარჩება, ვინც ბრწყინვალედ იმუშავა.

## პორტსმუთს კრაუჩი უნდა

**ინგლისური** „პორტსმუთის“ გამოცდილ მწვრთნელ ჰარი რედნაპს გუნდში აყლაყუდა ფორვარდის, პიტერ კრაუჩის მიყვანა და თავდასხმაში ჯერმეინ დეფოსთან შეწყვილება უნდა. კრაუჩს „ლივერპულში“ მცირე სათამაშო დრო ეთმობა და სარფიანი წინადადების მიღების შემთხვევაში, პიტერი კლუბის გამოცვლაზე უარს არ იტყვის.

„იმედია, ეს ტრანსფერი შედგება, ბრწყინვალე იქნება, თუ კრაუჩს დავიმატებთ. მომავალ სეზონში შორს წასვლა შეგვიძლია, მაგრამ რამდენიმე კარგი მოთამაშით უნდა გავძლიერდეთ“ — თქვა დეფომ.

## რიისე ბენიტესის სიტყვას ელის

**ნორვეგიელ** მცველ იონ არნე რიისეს გასულ სეზონში „ლივერპულის“ ძირითად შემადგენლობაში თამაშის საშუალება იშვიათად ეძლეოდა. მის პოზიციაზე კონკურენცია კიდევ უფრო გაიზრდება, თუ „ენფილდის“ ბინადრები „უდინეზესგან“ ანდრეა დოსენას დაიმატებენ.

27 წლის ფეხბურთელი მერსისაიდელთა მწვრთნელ რაფაელ ბენიტესს სთხოვს, ჩქარა მითხარი, მომავალში ძირითადი შემადგენლობის მოთამაშედ მოვიაზრები თუ არაო. წინააღმდეგ შემთხვევაში, რიისე 7 ივლისს გუნდთან ერთად მომავალი სეზონისთვის მოსამზადებელ ვარჯიშებში არ ჩაერთვება და ახალ კლუბს მოძებნის.

**გიორგი ძაძაბაძე**

# საშიში არითმეტიკა



იოზეფ ბლატერი

**ფიფას** პრეზიდენტმა, ზეპ ბლატერმა, თავისი იდეა, რომელსაც „ექვსს პლუს ხუთი“ შეარქვა, პირველ ეტაპზე გაიტანა — მისი ორგანიზაციის სიდნეიში გამართულმა კონგრესმა გეგმას დიდი ხმათა მნიშვნელოვანი უპირატესობით დაუჭირა მხარი: მომხრე გახლდათ 155 დელეგატი, წინააღმდეგი — 5, ხოლო 40-მა თავი შეიკავა. შეგახსენებთ, რომ ბლატერის მოფიქრებულ კანონს, რომლის თანახმადაც გუნდებს სასტარტო შემადგენლობაში 5 უცხოელზე მეტის გაყვანის უფლება არ ექნებათ, სერიოზულად ეწინააღმდეგება ევროკავშირი, რომლისთვისაც ეს მშრომელთა უფლებების შეზღუდვაა: რა უფლებით აპირებს ბლატერი თერთმეტი ევროპელისთვის (ფრანგისთვის, ბერძნისთვის ან იტალიელისთვის) ევროპულსავე გუნდში, ვთქვათ ინგლისურში, თამაშის შეზღუდვას?

სიდნეიში გამართულმა კონგრესმა მიიღო რეზოლუცია, რომლითაც ფიფას პრეზიდენტსა და მის ევროპელ კოლეგას, უეფას პრეზიდენტ მიშელ პლატინის ევროკავშირის შეფებთან მორიგი მოლაპარაკება და საკითხის შეთანხმება სთხოვა.

მაგრამ, ბლატერი შეუვალი და მომღიმარი გახლდათ:

„იდეას მხარი დელეგატთა დიდმა უმრავლესობამ დაუჭირა, ამიტომ, დარწმუნებული ვარ, ის იმუშავებს. გვსაყვედურობენ, თითქოს ჩვენი მოფიქრებული წესი კანონსაწინააღმდეგოა. ვინ დაადგინა ასე? რატომ? როდიდან? ხოლო, თუკი ჩვენი იდეის საწინააღმდეგო კანონი მართლა არსებობს, ნუთუ მისი დახვეწა და გადაკეთება არ შეიძლება“?

შემდეგ ბლატერმა დასძინა, რომ მისი ღრმა რწმენით, ლისაბონის ხელშეკრულება, რომელიც 2009 წლის 1 იანვარს უნდა დაიდოს, მის იდეას სრულად გაითვალისწინებს.

საინტერესოა, რა თქვა უეფას პრეზიდენტმა მიშელ პლატინიმ. მან განაცხადა, რომ სავსებით უჭერს მხარს ბლატერის იდეას:

„საკითხი, რომელსაც ჩვენ განვიხილავთ, უმნიშვნელოვანესია. რასაკვირველია, დღევანდელი სიტუაციის გათვალისწინებით, საფეხბურთო ევროპა უხერხულ მდგომარეობაშია, მაგრამ ჩვენ ყველა ღონეს ვიხმართ, ბლატერის იდეამ რომ გაიმარჯვოს და ქმედითი გახდეს“.

„ექვსს პლუს ხუთს“ მხარი დაუჭირა ლეგენდარულმა ფრანც ბეკენბაუერმაც, რომელიც ფიფას საფეხბურთო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეა.

„საუკეთესო მაგალითი ინგლისია — თქვა მან — სწორედ იქაურ კლუბებში თამაშობენ უცხოელები განსაკუთრებით მრავლად. ხომ ნახეთ, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში სამი ინგლისური გუნდი გავიდა, ხოლო ფინალში, „მანჩესტერმა“ და „ჩელსიმ“ საგანგებო შეხვედრა გამართეს, მაგრამ მატჩი რომ დამთავრდა, ყველა ერთსა და იმავეს იმეორებდა: სამწუხაროა, რომ ინგლისის ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე ვერ ითამაშებს. იგივე სიტუაციაა სხვა ქვეყნებშიც. მაშალითად, გერმანიაში გვყავს კლუბები, რომელთაც მოედანზე ერთი გერმანელი ფეხბურთელიც კი არ გამოჰყავთ. ასეთი რამ კი ფეხბურთისადმი ინტერესს კლავს და ეს რომ ასეა, მომავალში თვალსაჩინოდ გამოჩნდება. ყოველთვის მწამდა, რომ როდესაც მაგიდას საქმეზე პასუხისმგებელი ადამიანები უსხედან, ისინი აუცილებლად მიიღებენ პასუხისმგებლობით აღსავსე გადაწყვეტილებას და ამჯერადაც ამის იმედი მაქვს“.

შემდეგ ისევ ბლატერმა ისაუბრა:

„მართალია, ჩვენ გარკვეული იდეის გატარებას ვცდილობთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ ვიცით, თანამედროვე მსოფლიოში საერთაშორისო და რეგიონალური კანონები რომ არსებობს. სახელისუფლებო ძალებთან დაპირისპირებით კი არ ვართ დაინტერესებული. მოდი, უფრო სიღრმეში ჩავიხედოთ: ჩვენი შემოთავაზებული კანონის თანახმად, თამაშის დასაწყისში მოედანზე ყოველ გუნდში ექვსი ისეთი ფეხბურთელი უნდა იყოს, რომელთაც მათი გუნდის ქვეყნის ნაკრებში შეეძლებათ გამოსვლა. მაგრამ აქ ლაპარაკია სასტარტო შემადგენლობაზე და თუ სიტუაცია მოითხოვს, მწვრთნელებს თამაშის ბოლოს შეეძლებათ უცხოელების რაოდენობა 8-მდე გაზარდონ, ადგილობრივებისა კი, შესაბამისად, 3-მდე შეამცირონ. რასაკვირველია, სახელმწიფო მოხელეებთან კონსულტაციებიც დაგვჭირდება. ბოლოს და ბოლოს, თავიდან, 2010-ში შეგვიძლია „ოთხს პლუს შვიდით“ დავიწყოთ, ერთი წლის შემდეგ „ხუთს პლუს ექვსზე“ გადავიდეთ და მხოლოდ 2012 წლიდან შემოვიღოთ „ექვსს პლუს ხუთი“.

აი, ასეა საქმე, რომელმაც ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის აღმასრულებელი შეფი ბრაიან ბორვიკი გვარიანად შეაშინა — ბლატერის იდეას ინგლისური პრემიერლიგის კლუბები წინ აღუდგებიანო. მისტერ ბორვიკმა ერთი მხრივ ის თქვა, რა კარგია ფიფამ თავისი იდეა რომ წამოწიაო, მეორე მხრივ კი, თუ ამ კანონს მართლა მივიღებთ, გუნდებს თავისთვის საჭირო ფეხბურთელების შესაძენად დრო დასჭირდებათო.

„ყველაფერი ბალანსზე იქნება დამოკიდებული — თქვა მან — ჩვენ ჯერ კიდევ ღრმად გვწამს, რომ ფეხბურთელები გუნდებმა, უპირველეს ყოვლისა, ოსტატობის პრინციპით უნდა შეარჩიონ. ამასთან, მინდა ხაზი გავუსვა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ჩემპიონთა ლიგაში სწორედ ექვსი ინგლისელი ფეხბურთელით გაიმარჯვა. საკითხს აშკარად დახვეწა სჭირდება, ხოლო რით დასრულდება ეს ყველაფერი, არავინ იცის“.

**პაპუნა ძიძია**

# გვარდიოლამ ბარსა ორი წლით ჩაიბარა?

**ესპანურ** „მარკას“ თუ ვენდობით, ხოსეპ გვარდიოლამ უკვე გააფორმა ორწლიანი კონტრაქტი „ბარსელონასთან“ და ეს ამბავი მალე ოფიციალურად გახმაურდება. შეგახსენებთ, რომ კატალონიელთა ლეგენდა მთავარი მწვრთნელის პრეტენდენტად დიდი ხანია, სახელდებოდა.

ფრანკ რაიკარდი „ბარსელონას“ 5 წელი წვრთნიდა და ესპანეთის ჩემპიონატი რომ არ ვახსენოთ, გუნდს 2006 წელს ჩემპიონთა ლიგა მოაგებინა. თუმცა წინა სეზონი კატალონიელებმა ცუდად ჩაატარეს, უტიტულოდ დარჩნენ და პრიმერადივიზიონში ოდენ მესამე ადგილს დასჯერდნენ, თანაც ჩემპიონ „რეალს“ 18 ქულით ჩამორჩნენ. რაიკარდის მოხსნის მიზეზიც ეს გახლდათ.

აღსანიშნავია ისიც, რომ მომავალი სეზონისთვის „ბარსა“ უკვე გაძლიერდა ორი ფეხბურთელით. „კამპ ნოუს“ ბინადრებმა „სევილიადან“ სეიდუ კეიტა დაიმატეს, ხოლო „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ — ხერარდ პიკე.

**ძოძი ძანძღლაძი**



სარბიელი და კროკი

# წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.) | | | | | | |
| | | 31 მაისი | | | | | | |
| 15:30 | 1 | ბრაუნშვაიგი-დორტმუნდი(მ) | 1.40 | 4.20 | 5.95 | 1.04 | 1.13 | 2.46 |
| 15:30 | 2 | ბაბელსბერგი-ალენი | 4.30 | 3.50 | 1.65 | 1.92 | 1.19 | 1.12 |
| 15:30 | 3 | ერფურტი-დიუსელდორფი | 3.90 | 3.80 | 1.65 | 1.92 | 1.15 | 1.15 |
| 15:30 | 4 | უნიონ ბერლინი-ობერჰაუზენი | 2.25 | 3.30 | 2.65 | 1.33 | 1.21 | 1.46 |
| 15:30 | 5 | ესენი-ლიუბეკი | 1.20 | 5.30 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.46 |
| 15:30 | 6 | ვუპერტალი-მაგდებურგი | 2.50 | 3.10 | 2.50 | 1.38 | 1.25 | 1.38 |
| 15:30 | 7 | ვერდერი(მ)-ფერლი | 1.30 | 4.40 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.83 |
| 15:30 | 8 | კოტბუსი(მ)-დინამო | 2.50 | 3.05 | 2.55 | 1.37 | 1.26 | 1.38 |
| 15:30 | 9 | ვოლფსბურგი(მ)-ემდენი | 5.75 | 3.30 | 1.55 | 2.09 | 1.22 | 1.05 |
| | | გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.) | | | | | | |
| | | 31 მაისი | | | | | | |
| 15:30 | 10 | ინგოლშტადი-უნტერჰახინგი | 1.40 | 4.00 | 6.10 | 1.03 | 1.13 | 2.41 |
| 15:30 | 11 | რეგენსბურგი-ფრანკფურტი | 4.40 | 3.45 | 1.65 | 1.93 | 1.20 | 1.11 |
| 15:30 | 12 | ფულენდორფი-მიუნხენი1860(მ) | 2.15 | 3.10 | 3.00 | 1.26 | 1.25 | 1.52 |
| 15:30 | 13 | ზიგენი-რეუტლინგენი | 2.00 | 3.30 | 3.15 | 1.24 | 1.22 | 1.61 |
| 15:30 | 14 | ბაიერნი(მ)-აალენი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 15:30 | 15 | კასელი-ბურგჰაუზენი | 2.60 | 3.30 | 2.30 | 1.45 | 1.22 | 1.35 |
| 15:30 | 16 | კარლსრუე(მ)-ოგერშაიმი | 1.55 | 3.60 | 5.00 | 1.08 | 1.18 | 2.09 |
| 15:30 | 17 | შტუტგარტი(მ)-სენდჰაუზენი | 2.65 | 3.50 | 2.15 | 1.50 | 1.18 | 1.33 |
| 15:30 | 18 | ელვერსბერგი-კიკერსი | 4.20 | 3.80 | 1.60 | 1.99 | 1.15 | 1.12 |
| | | იტალია. სერია B | | | | | | |
| | | 1 ივნისი | | | | | | |
| 17:00 | 21 | პიაჩენცა-მანტოვა | 2.55 | 2.70 | 2.85 | 1.31 | 1.34 | 1.38 |
| 17:00 | 22 | რიმინი-მესინა | 1.60 | 3.10 | 5.85 | 1.05 | 1.25 | 2.02 |
| 17:00 | 24 | ბოლონია-პიზა | 1.15 | 6.00 | 13.00 | 1.00 | 1.05 | 4.10 |
| 17:00 | 25 | ასკოლი-ტრიესტინა | 1.80 | 2.75 | 5.00 | 1.08 | 1.32 | 1.77 |
| 17:00 | 26 | ლეჩე-ვიჩენცა | 1.20 | 5.00 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.52 |
| 17:00 | 27 | ფროზინონე-ალბინოლეფე | 1.90 | 2.75 | 4.50 | 1.12 | 1.33 | 1.70 |
| | | იტალია. სერია C | | | | | | |
| | | 1 ივნისი | | | | | | |
| 18:00 | 318 | ჩიტადელა-კრემონეზე | 2.25 | 2.65 | 3.55 | 1.21 | 1.37 | 1.51 |
| 18:00 | 319 | ტარანტო-ანკონა | 1.80 | 2.85 | 5.00 | 1.10 | 1.32 | 1.81 |
| 18:00 | 320 | მეცოკორონა-ლუმეცანე | 2.25 | 2.65 | 3.55 | 1.21 | 1.37 | 1.51 |
| 18:00 | 321 | პორტოგრუარო-ბასანო | 2.25 | 2.65 | 3.55 | 1.21 | 1.37 | 1.51 |
| 18:00 | 322 | კელანო-რეალ მ | 2.25 | 2.65 | 3.55 | 1.21 | 1.37 | 1.51 |
| | | ესპანეთი. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 31 მაისი | | | | | | |
| 20:30 | 31 | ელჩე-ლას პალმასი | 2.25 | 2.80 | 3.30 | 1.24 | 1.33 | 1.51 |
| 20:30 | 35 | სპორტინგი-კორდობა | 1.50 | 3.60 | 6.45 | 1.05 | 1.21 | 2.31 |
| 20:30 | 36 | ფეროლი-ალავესი | 2.00 | 3.00 | 3.75 | 1.20 | 1.30 | 1.66 |
| 20:30 | 37 | სოსიედადი-სალამანკა | 1.40 | 4.00 | 7.40 | 1.03 | 1.17 | 2.59 |
| 22:00 | 38 | სელტა-ტენერიფე | 2.00 | 2.80 | 3.90 | 1.16 | 1.32 | 1.62 |
| 20:30 | 39 | ტარაგონა-გრანადა | 1.75 | 3.25 | 4.50 | 1.13 | 1.25 | 1.88 |
| | | 1 ივნისი | | | | | | |
| 14:00 | 30 | სევილია ბ-ჰერკულესი | 2.30 | 2.75 | 3.30 | 1.25 | 1.35 | 1.50 |
| 19:00 | 32 | სერესი-ეხიდო | 1.80 | 3.20 | 4.30 | 1.15 | 1.26 | 1.83 |
| 21:00 | 33 | ალბასეტე-ეიბარი | 1.85 | 3.10 | 4.20 | 1.15 | 1.28 | 1.78 |
| 20:00 | 34 | ნუმანსია-კასტელონი | 1.70 | 3.20 | 5.00 | 1.11 | 1.26 | 1.95 |
| 22:30 | 40 | მალაგა -კადისი | 1.65 | 3.40 | 5.00 | 1.11 | 1.24 | 2.02 |
| | | დანია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 31 მაისი | | | | | | |
| 17:00 | 52 | ჰელერუპი-ნესტვედი | 2.40 | 3.30 | 2.60 | 1.38 | 1.24 | 1.45 |
| 17:00 | 53 | ორჰუსი ფრ-ჰვიდოვრე | 2.55 | 3.40 | 2.45 | 1.45 | 1.24 | 1.42 |
| | | 1 ივნისი | | | | | | |
| 17:00 | 54 | ჰერფიოლგე-ვეილე | 3.20 | 3.60 | 2.00 | 1.69 | 1.23 | 1.28 |
| 17:00 | 55 | კოლდინგი-სკივე | 1.75 | 3.60 | 3.80 | 1.17 | 1.19 | 1.84 |
| 17:00 | 56 | აკადემისკი-იოლსტრუპე | 1.35 | 4.60 | 6.50 | 1.04 | 1.11 | 2.69 |
| 17:00 | 57 | სილკებორგი-კიოგე | 1.55 | 4.00 | 4.80 | 1.11 | 1.17 | 2.18 |
| 17:00 | 58 | ფრედერისია-ფრემი | 1.85 | 3.40 | 3.70 | 1.19 | 1.23 | 1.77 |
| 15:00 | 59 | სანდერილანდი-ლოლანდი | 1.40 | 4.10 | 6.30 | 1.04 | 1.14 | 2.48 |
| | | ნორვეგია. ტიპელიგა | | | | | | |
| | | 31 მაისი | | | | | | |
| 21:00 | 64 | ბრანი-მოლდე | 1.40 | 4.20 | 7.15 | 1.04 | 1.17 | 2.64 |
| | | 1 ივნისი | | | | | | |
| 20:00 | 63 | ალესუნდი-სტრიომსგოდსეტი | 2.00 | 3.40 | 3.20 | 1.25 | 1.23 | 1.64 |
| 22:00 | 65 | ლინი-ვოლერენგა | 2.70 | 3.20 | 2.40 | 1.46 | 1.27 | 1.37 |
| 20:00 | 66 | ფრედრიკსტადი-სტაბეკი | 2.55 | 3.30 | 2.55 | 1.43 | 1.27 | 1.43 |
| 20:00 | 67 | რუსენბორგი-ვიკინგი | 1.70 | 3.50 | 4.40 | 1.14 | 1.22 | 1.94 |
| | | 2 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 61 | ბოდიო გლიმტი-ლილესტრიომი | 2.15 | 3.30 | 2.95 | 1.30 | 1.24 | 1.55 |
| | | ნორვეგია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 31 მაისი | | | | | | |
| 18:00 | 68 | ჰაუგესუნდი-ოდ გრენლანდი | 4.20 | 3.70 | 1.70 | 1.96 | 1.21 | 1.16 |
| | | ირლანდია. პრემიერ დივიზიონი | | | | | | |
| | | 31 მაისი | | | | | | |
| 22:45 | 109 | კობი-დროგედა | 4.15 | 3.20 | 1.85 | 1.80 | 1.27 | 1.17 |
| | | 1 ივნისი | | | | | | |
| 22:00 | 106 | დერი-კორკი | 2.20 | 3.10 | 3.10 | 1.28 | 1.28 | 1.54 |
| | | იაპონია. თასი | | | | | | |
| | | 31 მაისი | | | | | | |
| 10:00 | 110 | კავასაკი-საპორო | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 11:00 | 111 | კაშივა-იჩიჰარა | 1.80 | 3.20 | 4.00 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| 14:00 | 112 | კობე-ურავა | 2.90 | 3.10 | 2.20 | 1.49 | 1.25 | 1.28 |
| 09:00 | 113 | კიოტო-ნაგოია | 3.10 | 3.20 | 2.10 | 1.57 | 1.25 | 1.26 |
| 09:00 | 114 | ტოკიო-შიმიცუ | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| 09:00 | 115 | ივატა-ვერდი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 09:00 | 116 | ომია-ნიიგატა | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 09:00 | 117 | ოიტა-იოკოჰამა ფმ | 2.60 | 3.00 | 2.50 | 1.39 | 1.27 | 1.36 |
| | | აშშ. MLS | | | | | | |
| | | 31 მაისი | | | | | | |
| 23:30 | 122 | ტორონტო-ლოს ანჯელესი | 2.30 | 3.00 | 2.95 | 1.30 | 1.29 | 1.48 |
| | | 1 ივნისი | | | | | | |
| 04:30 | 119 | ჰიუსტონი-ნიუ იორკი | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| 05:00 | 120 | სოლტ ლეიკი-სან ხოსე | 1.90 | 3.20 | 3.60 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| 06:30 | 121 | ჩივასი-კოლამბუსი | 2.20 | 3.20 | 2.85 | 1.30 | 1.24 | 1.50 |
| 23:00 | 123 | კოლორადო-დალასი | 2.05 | 3.20 | 3.15 | 1.24 | 1.24 | 1.58 |
| | | ბრაზილია. ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 1 ივნისი | | | | | | |
| 01:10 | 134 | ვასკუ და გამა-გრემიო | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| 01:10 | 135 | ინტერნასიონალი-სპორტ რისიფე | 1.45 | 3.80 | 5.90 | 1.04 | 1.16 | 2.31 |
| 01:10 | 136 | ფიგეირენსე-გოიასი | 1.60 | 3.40 | 4.90 | 1.08 | 1.20 | 2.00 |
| 23:00 | 137 | ნაუტიკო-ბოტაფოგო | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 23:00 | 138 | სანტოსი-სან პაულუ | 2.25 | 3.10 | 2.80 | 1.30 | 1.24 | 1.47 |
| 23:00 | 139 | კურიტიბა-კრუზეირო | 2.50 | 3.10 | 2.50 | 1.38 | 1.25 | 1.38 |
| 23:00 | 140 | იპატინგა-ვიტორია | 2.25 | 3.20 | 2.75 | 1.32 | 1.23 | 1.47 |
| | | 2 ივნისი | | | | | | |
| 01:10 | 141 | პალმეირასი-ატლეტიკო პრ | 1.65 | 3.40 | 4.60 | 1.11 | 1.21 | 1.95 |
| 01:10 | 142 | ატლეტიკო მნ-პორტუგესა | 1.70 | 3.40 | 4.10 | 1.13 | 1.20 | 1.85 |
| 01:10 | 143 | ფლუმინენსე-ფლამენგო | 3.70 | 3.40 | 1.85 | 1.77 | 1.23 | 1.19 |
| | | უეფა. ეჩ (19) შესარჩევი მატჩები | | | | | | |
| | | 31 მაისი | | | | | | |
| 17:00 | 382 | ბელარუსი19-ინგლისი19 | 4.50 | 3.10 | 1.70 | 1.83 | 1.23 | 1.09 |
| 17:00 | 383 | სერბეთი19-პოლონეთი19 ნ | 1.30 | 3.70 | 8.50 | 1.00 | 1.12 | 2.57 |
| 19:30 | 384 | იტალია19-საფრანგეთი19 ნ | 2.20 | 3.20 | 2.80 | 1.30 | 1.23 | 1.49 |
| 19:30 | 385 | შვეიცარია19-შვედეთი19 | 2.45 | 3.00 | 2.65 | 1.34 | 1.27 | 1.40 |
| | | საერთაშორისო. ამხანაგური მატჩები | | | | | | |
| | | 31 მაისი | | | | | | |
| 14:00 | 165 | იამაიკა-არგენტინა | 15.00 | 7.50 | 1.08 | 5.00 | 1.00 | 1.00 |
| 19:30 | 168 | გერმანია-სერბეთი | 1.35 | 4.50 | 7.50 | 1.03 | 1.14 | 2.81 |
| 21:45 | 169 | რუმინეთი-ჩერნოგორია | 1.30 | 4.00 | 10.00 | 1.00 | 1.15 | 2.85 |
| 22:30 | 170 | უნგრეთი-ხორვატია | 2.90 | 3.10 | 2.20 | 1.49 | 1.25 | 1.28 |
| 23:00 | 171 | საფრანგეთი-პარაგვაი | 1.38 | 3.90 | 7.10 | 1.01 | 1.15 | 2.51 |
| 23:00 | 172 | ესპანეთი-პერუ | 1.20 | 5.00 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.43 |
| | | 1 ივნისი | | | | | | |
| 17:00 | 166 | ჰოლანდია-უელსი | 1.25 | 4.60 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.04 |
| 06:30 | 173 | კანადა-ბრაზილია | 11.50 | 6.00 | 1.15 | 3.94 | 1.04 | 1.00 |
| 18:00 | 386 | პოლონეთი-დანია | 2.10 | 3.10 | 3.10 | 1.25 | 1.25 | 1.54 |
| 18:00 | 387 | შვედეთი-უკრაინა | 1.70 | 3.40 | 4.00 | 1.13 | 1.19 | 1.83 |
| | | FIFA. მჩ 2010 შესარჩევი მატჩები | | | | | | |
| | | 31 მაისი | | | | | | |
| 15:00 | 371 | სამხრეთ კორეა-იორდანია | 1.25 | 4.70 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.08 |
| 17:30 | 372 | რუანდა-მავრიტანია | 1.65 | 3.20 | 4.80 | 1.08 | 1.22 | 1.91 |
| 17:00 | 373 | ბოტსვანა-მადაგასკარი | 1.45 | 3.60 | 6.00 | 1.03 | 1.16 | 2.25 |
| 18:30 | 374 | კამერუნი-კაპე ვერდე | 1.05 | 8.50 | 18.00 | 1.00 | 1.00 | 5.77 |
| 18:30 | 375 | გაბონი-ლესოტო | 1.40 | 3.90 | 6.20 | 1.03 | 1.14 | 2.39 |
| 18:00 | 376 | ნამიბია-კენია | 2.10 | 3.10 | 3.15 | 1.25 | 1.25 | 1.56 |
| 19:00 | 377 | ტოგო-ზამბია | 1.70 | 3.10 | 4.65 | 1.09 | 1.24 | 1.86 |
| 21:00 | 378 | სუდანი-ჩადი | 1.25 | 4.70 | 9.50 | 1.00 | 1.10 | 3.14 |
| 23:00 | 379 | მაროკო-ეთიოპია | 1.20 | 5.20 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.42 |
| 23:30 | 380 | სენეგალი-ალჟირი | 1.55 | 3.30 | 5.70 | 1.05 | 1.21 | 2.08 |
| | | 1 ივნისი | | | | | | |
| 23:55 | 381 | ნიგერია-სამ აფრიკა | 1.45 | 3.80 | 6.00 | 1.04 | 1.16 | 2.32 |
| 17:30 | 413 | ბურუნდი-სეიშელი | 1.50 | 3.50 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.21 |
| 18:30 | 414 | ეკ-გვინეა-სიერა ლეონე | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| 18:30 | 415 | ანგოლა-ბენინი | 1.35 | 4.00 | 7.50 | 1.00 | 1.14 | 2.60 |
| 20:00 | 416 | ტუნისი-ბურკინა ფასო | 1.20 | 5.00 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.43 |
| 20:00 | 417 | ლიბერია-გამბია | 2.20 | 3.20 | 2.80 | 1.30 | 1.23 | 1.49 |
| 20:00 | 418 | კოტ დიუარი-მოზამბიკი | 1.15 | 6.20 | 11.00 | 1.00 | 1.04 | 3.96 |
| 21:00 | 419 | განა-ლიბია | 1.22 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.08 | 3.33 |
| 22:00 | 422 | ეგვიპტე-კონგო დრ | 1.27 | 4.50 | 9.00 | 1.00 | 1.11 | 3.00 |
| | | ჩოგბურთი. ქალები Roland Garros | | | | | | |
| | | 31 მაისი | | | | | | |
| 13:00 | 394 | აზარენკო-სკიავონე | | | 1.40 | | | 2.30 |
| 13:00 | 395 | დემენტიევა-გოვორცოვა | | | 1.05 | | | 5.50 |
| 13:00 | 396 | მედინა გარიგესი-კანეპი | | | 1.25 | | | 3.00 |
| 13:00 | 397 | საფაი-კვიტოვა | | | 1.35 | | | 2.50 |
| 13:00 | 398 | ხაფინა-ჩენგი | | | 1.10 | | | 5.30 |
| | | ჩოგბურთი. კაცები Roland Garros | | | | | | |
| | | 31 მაისი | | | | | | |
| 13:00 | 401 | ვავრინკა-ფ გონსალესი | | | 1.45 | | | 2.30 |
| 13:00 | 403 | დავიდენკო-ლიუბიჩიჩი | | | 1.05 | | | 5.50 |
| 13:00 | 407 | მონფილსი-მელზერი | | | 1.25 | | | 3.00 |
| 13:00 | 409 | რობრედო-შტეპანეკი | | | 1.80 | | | 1.80 |
| 13:00 | 411 | ფედერერი-ანჩიჩი | | | 1.03 | | | 7.00 |
| 13:00 | 412 | დ ფერერი-პიუიტი | | | 1.15 | | | 4.00 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10021 | პიაჩენცა-მანტოვა | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10022 | რიმინი-მესინა | 2.00 | 2.20 | 5.30 | 1.04 | 1.45 | 1.55 |
| 10025 | ასკოლი-ტრიესტინა | 2.20 | 2.10 | 4.30 | 1.07 | 1.45 | 1.41 |
| 10027 | ფროზინონე-ალბინოლეფე | 2.30 | 2.00 | 4.00 | 1.06 | 1.46 | 1.33 |
| 10030 | სევილია ბ-ჰერკულესი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10031 | ელჩე-ლას პალმასი | 2.65 | 2.00 | 3.30 | 1.13 | 1.46 | 1.24 |
| 10032 | სერესი-ეხიდო | 2.20 | 2.10 | 4.30 | 1.07 | 1.45 | 1.41 |
| 10033 | ალბასეტე-ეიბარი | 2.25 | 2.00 | 4.40 | 1.05 | 1.48 | 1.37 |
| 10034 | ნუმანსია-კასტელონი | 2.10 | 2.10 | 4.85 | 1.04 | 1.46 | 1.46 |
| 10035 | სპორტინგი-კორდობა | 1.90 | 2.10 | 5.80 | 1.00 | 1.43 | 1.54 |
| 10036 | ფეროლი-ალავესი | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10037 | სოსიედადი-სალამანკა | 1.75 | 2.30 | 6.50 | 1.00 | 1.37 | 1.69 |
| 10038 | სელტა-ტენერიფე | 2.50 | 2.00 | 3.60 | 1.11 | 1.47 | 1.28 |
| 10039 | ტარაგონა-გრანადა | 2.15 | 2.10 | 4.60 | 1.06 | 1.46 | 1.44 |
| 10040 | მალაგა -კადისი | 2.05 | 2.10 | 5.30 | 1.03 | 1.47 | 1.50 |
| 10061 | ბოდიო გლიმტი-ლილესტრიომი | 2.55 | 2.00 | 3.55 | 1.12 | 1.48 | 1.27 |
| 10063 | ალესუნდი-სტრიომსგოდსეტი | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10064 | ბრანი-მოლდე | 1.75 | 2.30 | 6.50 | 1.00 | 1.37 | 1.69 |
| 10066 | ფრედრიკსტადი-სტაბეკი | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10067 | რუსენბორგი-ვიკინგი | 2.10 | 2.10 | 4.85 | 1.04 | 1.46 | 1.46 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11021 | პიაჩენცა-მანტოვა | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11022 | რიმინი-მესინა | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11025 | ასკოლი-ტრიესტინა | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11027 | ფროზინონე-ალბინოლეფე | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11030 | სევილია ბ-ჰერკულესი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11031 | ელჩე-ლას პალმასი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11032 | სერესი-ეხიდო | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11033 | ალბასეტე-ეიბარი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11034 | ნუმანსია-კასტელონი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11035 | სპორტინგი-კორდობა | 2.05 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11036 | ფეროლი-ალავესი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11037 | სოსიედადი-სალამანკა | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11038 | სელტა-ტენერიფე | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11039 | ტარაგონა-გრანადა | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11040 | მალაგა -კადისი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11061 | ბოდიო გლიმტი-ლილესტრიომი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11063 | ალესუნდი-სტრიომსგოდსეტი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11064 | ბრანი-მოლდე | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11066 | ფრედრიკსტადი-სტაბეკი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11067 | რუსენბორგი-ვიკინგი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნკ. | მტ. |
|---|---|---|---|
| 12021 | პიაჩენცა-მანტოვა | 2.00 | 1.60 |
| 12022 | რიმინი-მესინა | 2.00 | 1.60 |
| 12025 | ასკოლი-ტრიესტინა | 2.00 | 1.60 |
| 12027 | ფროზინონე-ალბინოლეფე | 2.00 | 1.60 |
| 12030 | სევილია ბ-ჰერკულესი | 1.70 | 1.90 |
| 12031 | ელჩე-ლას პალმასი | 1.70 | 1.90 |
| 12032 | სერესი-ეხიდო | 1.70 | 1.90 |
| 12033 | ალბასეტე-ეიბარი | 1.50 | 2.10 |
| 12034 | ნუმანსია-კასტელონი | 1.50 | 2.10 |
| 12035 | სპორტინგი-კორდობა | 1.70 | 1.90 |
| 12036 | ფეროლი-ალავესი | 1.50 | 2.10 |
| 12037 | სოსიედადი-სალამანკა | 1.70 | 1.90 |
| 12038 | სელტა-ტენერიფე | 1.70 | 1.90 |
| 12039 | ტარაგონა-გრანადა | 1.50 | 2.10 |
| 12040 | მალაგა -კადისი | 1.60 | 2.00 |
| 12061 | ბოდიო გლიმტი-ლილესტრიომი | 2.00 | 1.60 |
| 12063 | ალესუნდი-სტრიომსგოდსეტი | 2.10 | 1.50 |
| 12064 | ბრანი-მოლდე | 2.10 | 1.50 |
| 12066 | ფრედრიკსტადი-სტაბეკი | 2.00 | 1.60 |
| 12067 | რუსენბორგი-ვიკინგი | 2.10 | 1.50 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს. (ძირითადი დრო)

| | | ნკ. | მტ. |
|---|---|---|---|
| 13021 | პიაჩენცა-მანტოვა | 1.60 | 2.00 |
| 13022 | რიმინი-მესინა | 1.60 | 2.00 |
| 13025 | ასკოლი-ტრიესტინა | 1.50 | 2.10 |
| 13027 | ფროზინონე-ალბინოლეფე | 1.50 | 2.10 |
| 13030 | სევილია ბ-ჰერკულესი | 1.70 | 1.90 |
| 13031 | ელჩე-ლას პალმასი | 1.80 | 1.80 |
| 13032 | სერესი-ეხიდო | 1.80 | 1.80 |
| 13033 | ალბასეტე-ეიბარი | 2.00 | 1.60 |
| 13034 | ნუმანსია-კასტელონი | 1.90 | 1.70 |
| 13035 | სპორტინგი-კორდობა | 1.90 | 1.70 |
| 13036 | ფეროლი-ალავესი | 2.00 | 1.60 |
| 13037 | სოსიედადი-სალამანკა | 2.00 | 1.60 |
| 13038 | სელტა-ტენერიფე | 1.70 | 1.90 |
| 13039 | ტარაგონა-გრანადა | 1.90 | 1.70 |
| 13040 | მალაგა -კადისი | 1.90 | 1.70 |
| 13061 | ბოდიო გლიმტი-ლილესტრიომი | 1.50 | 2.10 |
| 13063 | ალესუნდი-სტრიომსგოდსეტი | 1.40 | 2.20 |
| 13064 | ბრანი-მოლდე | 1.50 | 2.10 |
| 13066 | ფრედრიკსტადი-სტაბეკი | 1.60 | 2.00 |
| 13067 | რუსენბორგი-ვიკინგი | 1.50 | 2.10 |

### გოლი: ლუწი-1 თუ კენტი-2 (0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17021 | პიაჩენცა-მანტოვა | 1.85 | 1.95 |
| 17022 | რიმინი-მესინა | 1.85 | 1.95 |
| 17025 | ასკოლი-ტრიესტინა | 1.85 | 1.95 |
| 17027 | ფროზინონე-ალბინოლეფე | 1.85 | 1.95 |
| 17030 | სევილია ბ-ჰერკულესი | 1.85 | 1.95 |
| 17031 | ელჩე-ლას პალმასი | 1.85 | 1.95 |
| 17032 | სერესი-ეხიდო | 1.85 | 1.95 |
| 17033 | ალბასეტე-ეიბარი | 1.85 | 1.95 |
| 17034 | ნუმანსია-კასტელონი | 1.85 | 1.95 |
| 17035 | სპორტინგი-კორდობა | 1.85 | 1.95 |
| 17036 | ფეროლი-ალავესი | 1.85 | 1.95 |
| 17037 | სოსიედადი-სალამანკა | 1.85 | 1.95 |
| 17038 | სელტა-ტენერიფე | 1.85 | 1.95 |
| 17039 | ტარაგონა-გრანადა | 1.85 | 1.95 |
| 17040 | მალაგა -კადისი | 1.85 | 1.95 |
| 17061 | ბოდიო გლიმტი-ლილესტრიომი | 1.85 | 1.95 |
| 17063 | ალესუნდი-სტრიომსგოდსეტი | 1.85 | 1.95 |
| 17064 | ბრანი-მოლდე | 1.85 | 1.95 |
| 17066 | ფრედრიკსტადი-სტაბეკი | 1.85 | 1.95 |
| 17067 | რუსენბორგი-ვიკინგი | 1.85 | 1.95 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი.

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15021 | პიაჩენცა-მანტოვა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15022 | რიმინი-მესინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15025 | ასკოლი-ტრიესტინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15027 | ფროზინონე-ალბინოლეფე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15030 | სევილია ბ-ჰერკულესი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15031 | ელჩე-ლას პალმასი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15032 | სერესი-ეხიდო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15033 | ალბასეტე-ეიბარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15034 | ნუმანსია-კასტელონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15035 | სპორტინგი-კორდობა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15036 | ფეროლი-ალავესი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15037 | სოსიედადი-სალამანკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15038 | სელტა-ტენერიფე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15039 | ტარაგონა-გრანადა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15040 | მალაგა -კადისი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15061 | ბოდიო გლიმტი-ლილესტრიომი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15063 | ალესუნდი-სტრიომსგოდსეტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15064 | ბრანი-მოლდე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15066 | ფრედრიკსტადი-სტაბეკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15067 | რუსენბორგი-ვიკინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირითადი დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16021 | პიაჩენცა-მანტოვა | 1.80 | 1.85 |
| 16022 | რიმინი-მესინა | 1.22 | 3.40 |
| 16025 | ასკოლი-ტრიესტინა | 1.30 | 3.00 |
| 16027 | ფროზინონე-ალბინოლეფე | 1.34 | 2.80 |
| 16030 | სევილია ბ-ჰერკულესი | 1.62 | 2.05 |
| 16031 | ელჩე-ლას პალმასი | 1.58 | 2.10 |
| 16032 | სერესი-ეხიდო | 1.30 | 3.00 |
| 16033 | ალბასეტე-ეიბარი | 1.32 | 3.00 |
| 16034 | ნუმანსია-კასტელონი | 1.24 | 3.60 |
| 16035 | სპორტინგი-კორდობა | 1.14 | 4.70 |
| 16036 | ფეროლი-ალავესი | 1.40 | 2.55 |
| 16037 | სოსიედადი-სალამანკა | 1.11 | 5.70 |
| 16038 | სელტა-ტენერიფე | 1.50 | 2.30 |
| 16039 | ტარაგონა-გრანადა | 1.25 | 3.40 |
| 16040 | მალაგა -კადისი | 1.23 | 3.60 |
| 16061 | ბოდიო გლიმტი-ლილესტრიომი | 1.52 | 2.20 |
| 16063 | ალესუნდი-სტრიომსგოდსეტი | 1.40 | 2.55 |
| 16064 | ბრანი-მოლდე | 1.11 | 5.70 |
| 16066 | ფრედრიკსტადი-სტაბეკი | 1.80 | 1.85 |
| 16067 | რუსენბორგი-ვიკინგი | 1.24 | 3.60 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14021 | პიაჩენცა-მანტოვა | 1.90 | 1.90 |
| 14022 | რიმინი-მესინა | 1.30 | 2.50 |
| 14025 | ასკოლი-ტრიესტინა | 1.65 | 2.30 |
| 14027 | ფროზინონე-ალბინოლეფე | 1.70 | 2.20 |
| 14030 | სევილია ბ-ჰერკულესი | 1.80 | 2.00 |
| 14031 | ელჩე-ლას პალმასი | 1.80 | 2.00 |
| 14032 | სერესი-ეხიდო | 1.65 | 2.30 |
| 14033 | ალბასეტე-ეიბარი | 1.65 | 2.30 |
| 14034 | ნუმანსია-კასტელონი | 1.45 | 2.40 |
| 14035 | სპორტინგი-კორდობა | 1.30 | 2.50 |
| 14036 | ფეროლი-ალავესი | 1.70 | 2.20 |
| 14037 | სოსიედადი-სალამანკა | 1.20 | 2.60 |
| 14038 | სელტა-ტენერიფე | 1.75 | 2.10 |
| 14039 | ტარაგონა-გრანადა | 1.45 | 2.40 |
| 14040 | მალაგა -კადისი | 1.45 | 2.40 |
| 14061 | ბოდიო გლიმტი-ლილესტრიომი | 1.75 | 2.10 |
| 14063 | ალესუნდი-სტრიომსგოდსეტი | 1.70 | 2.20 |
| 14064 | ბრანი-მოლდე | 1.20 | 2.60 |
| 14066 | ფრედრიკსტადი-სტაბეკი | 1.90 | 1.90 |
| 14067 | რუსენბორგი-ვიკინგი | 1.45 | 2.40 |






ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყველაზე მაღლა მართვე აფრინდა

**გუშინ** ვაკეში მდებარე საკალათბურთო აკადემიაში ბავშვთა ფესტივალი დასრულდა, რომელშიც ერთმანეთს 1996 წელს დაბადებულები ეჯიბრებოდნენ. გამარჯვება „მართვემ“ მოიპოვა, რომელმაც ფინალში სამედიცინო ინსტიტუტის გუნდი 47:24 დაამარცხა.

ტურნირში სულ 8 გუნდი მონაწილეობდა, რომლებიც 2 ქვეჯგუფში იყვნენ განაწილებულნი. ერთ მხარეს „აკადემია“, „მართვე“, „თელავი“ და ქუთაისის სპორტსკოლის გუნდი იყვნენ, ხოლო მეორე ჯგუფი „რუსთავმა“, „დინამომ“, ქუთაისურმა „სარანგმა“ და „სამედიცინომ“ შეადგინეს.

ჯგუფური ტურნირი 27-29 მაისს გაიმართა და გამარჯვებულები ფინალში დაწყვილდნენ, მეორეზე გასულებმა კი ბრინჯაოს მედალი გაითამაშეს. მესამე ადგილისთვის მატჩში რუსთაველებმა „აკადემია“ 43:30 დაამარცხეს.

„მართვესა“ და სამედიცინო ინსტიტუტის საჩემპიონო შეხვედრა კი მთლად ისეთი ვერ გამოვიდა, ფინალს რომ მოუხდებოდა. პატარა მედიკოსებმა მხოლოდ დებიუტში გაუწიეს „მართვეს“ წინააღმდეგობა, შემდეგ კი გვარიანად ჩამორჩნენ და საბოლოოდ 20 ქულით დათმეს შეხვედრა.

ტურნირის ყველა მონაწილეს ფედერაციისგან საკალათბურთო ბურთები გადაეცა, ხოლო ყოველი გუნდის საუკეთესო მოთამაშე ეგრედ წოდებული „ვოლქმენით“ დასაჩუქრდა.

ესეც, ჩემპიონი „მართვეს“ შემადგენლობა: დიმიტრი ბობილევი, ლუკა ბახტაძე, დიმიტრი ვაჭარაძე, გიორგი მანჩხოშვილი, ცოტნე კერელიშვილი, ლაშა ვეკუა, მამუკა ზაზუაშვილი, ლუკა მაჩაიძე, სოსო გოგნაძე, მიხეილ მუჩაიძე, გიო გუგეშაშვილი, იური ხალათიანი.

ჭიდაობა



# ჰა, საფარი, მიდი და იჭიდავე!

**გუშინ** საპრეზიდენტო პროგრამა „საქართველოში ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების“ ფარგლებში საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტმა ჭიდაობის ეროვნულ ფედერაციას სამი საჭიდაო ხალიჩა გადასცა. ხალიჩები უმაღლესი ხარისხისაა. ქართველ მოჭიდავეებს ანალოგიურ საფარზე მოუწევთ პეკინის ოლიმპიადაზე გამოსვლა. საქმე და ჩანაფიქრი ისაა, რომ ჩვენი ფალავნები აქედანვე შეეჩვევიან ელიტარული ხარისხის საგებელს და ჩინურ არენაზე უცხოდ აღარ იგრძნობენ თავს.

ორი ხალიჩა უკვე დააგეს ფალავანთა კლუბში. მოჭიდავეთა ბინაში ამ ფაქტის სანახავად ეროვნული ნაკრების წევრები და დეპარტამენტის წარმომადგენლები მივიდნენ.

**ზურაბ მიგრიაული**

რაგბი

# მომავლის აფრიკა, ურუგვაი და იტალია A

**11-20 ივნისს** ბუქარესტში IRB-ს ერთა თასის გათამაშება გაიმართება და ამ ტურნირში საქართველოს ნაკრებიც გამოვა. „ლელოების“ გარდა მასპინძელი რუმინეთი, რუსეთი, სამხრეთ აფრიკის ახალგაზრდული ნაკრები, ანუ „მომავლის სამხრეთ აფრიკა“, იტალიის A ნაკრები და ტურნირის დებიუტანტი ურუგვაის ნაკრები მიიღებენ მონაწილეობას. ტურნირის ფორმატის მიხედვით, გუნდები ორ სამგუნდა ჯგუფად იყოფიან და ერთად მოხვედრილები ერთმანეთს არ ეთამაშებიან. ისინი მხოლოდ მე-2 ჯგუფის გუნდებთან გამართავენ მატჩებს. ასე რომ, ჯგუფში თითოეულ ნაკრებს სამ-სამი თამაშის ჩატარება მოუწევს. საქართველოს ნაკრების თანაჯგუფელები არიან რუმინეთის და რუსეთის ეროვნული გუნდები, ხოლო მეორე ჯგუფი „მომავლის სამხრეთ აფრიკამ“, იტალიის A ნაკრებმა და ურუგვაის ნაკრებმა შეადგინეს.

ტურნირს ბუქარესტის სარაგბო სტადიონი „ტრიუმფალური არკა“ უმასპინძლებს. საქართველოს ნაკრები პირველ შეხვედრას შარშანდელ ჩემპიონ „მომავლის სამხრეთ აფრიკასთან“ გამართავს. შემდეგ ურუგვაის დაუპირისპირდება, ხოლო დასკვნით მატჩში ჩვენები 20 ივნისს იტალიის A ნაკრებს შეხვდებიან.

გეტყვით, რომ წელს ურუგვაის ნაკრები არგენტინის A ნაკრების ნაცვლად იასპარეზებს. იტალიელთა შემადგენლობის დიდ ნაწილს კი 2007 წლის IRB-ს ერთა თასის გათამაშებაშიც უბრძოლია. სარუმინეთო „სკუადრა ამურას“ ოთხი მორაგბე 2007 წლის მსოფლიოს თასზეც თამაშობდა.

**ზურაბ მიგრიაული**

ჩოგბურთი

# ბოლო იმედის ანა

**კვირის** დასაწყისში ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით მიმდინარე სხვადასხვა დონის ტურნირებზე ხუთი ჩვენებური ჩაება, მაგრამ კვირის ბოლოსკენ მხოლოდ ერთმა, ანა ტატიშვილმა მიატანა.

ანა ამერიკის შეერთებულ შტატებში, კალიფორნიული კერსონის მაგარსაფარზე მე-4 ნომრადაა განთესილი და ჯერჯერობით, ფავორიტის შესაფერად ირჯება. პირველ წრეში სამხრეთაფრიკელ სურინადე ბეერთან გამარჯვების შემდეგ ქართველმა ჩოგბურთელმა 6:7 6:0 6:2 სძლია შეჯიბრზე „ვაილდ ქარდით“ მოთამაშე ამერიკელ ეილი ვილს და მეოთხედფინალში გავიდა, სადაც მისი მეტოქე ტურნირის მე-5 ნომერი, 24 წლისა და რეიტინგის 275-ე საფეხურზე მყოფი მექსიკელი მელისა ტორეს-სანდოვალი იქნება. ამ მექსიკელმა მეოთხედფინალამდე, ჯერ კორტის მასპინძელ სტორი ტვიდ-იატესს სძლია 2:6 6:2 7:5, შემდეგ კი ასევე სამ სეტში — 6:4 3:6 6:2 — მოუგო სლოვენიელ პეტრა რამპრეს.

შეგახსენებთ, რომ კერსონში თამაშობდა სალომე დევიძეც, რომელმაც საკვალიფიკაციო ეტაპის დაძლევა ვერ მოახერხა. სხვა ჩვენებურები კი, რომლებიც ამ კვირაში რუსული ტოლიატისა და თურქული გაზიანთების ჰარდზე თამაშობდნენ, ძირითადი შეჯიბრის მეორე წრეში დამარცხდნენ.

გაზიანთების 10-ათასიან ტურნირზე ანა ჯიქიას 6:3 6:0 მოუგო ავსტრალიელმა დანიელა სკივეტიმ, ხოლო ტოლიატში სოფო შაფათავა და ოქსანა კალაშნიკოვა იყვნენ. შაფათავას კვალიფიკაციიდან წამოსულმა რუსმა მარია ჟარკოვამ 6:4 0:6 6:3 აჯობა, კალაშნიკოვა კი უიმედოდ, 1:6 0:6 დამარცხდა მე-6 ნომრად განთესილ ავსტრიელ პატრიცია მაიერთან.


ანა ტატიშვილი

## NBA პლეი ოფი. ნახევარფინალი

# ბატონებო და ქალბატონებო, თქვენს წინაშეა კობი ბრაიანტი!

29 მაისი

### დასავლეთი

**ლეიკერსი 4:1 სან ანტონიო**

**ლეიკერსი 100:92 სან ანტონიო**

**ლეიკერსი:** ფიშერი( 5), ბრაიანტი (39), რადმანოვიჩი (8), ოდომი (13), გასოლი (12 ქულა, 19 მოხსნა, 5 პასი, 4 ჩაჭრა); ვუიაჩიჩი (9), ფარმარი (8), უოლტონი (5), ტურიაფი (1)

**სან ანტონიო:** პარკერი (23), ფინლი (13), ბოუენი (4), დანკანი (19 ქულა, 15 მოხსნა, 10 პასი), ობერტო (2); ბერი (11), ტომასი (11), ჯინობილი (9)

ჩემპიონი ძლეულია და „ლეიკერსი“ ფინალში შეიჭრა! ლოსანჯელესელები იქ ან ძველ მტერ „ბოსტონს“ შეეყრებიან ან „დეტროიტს“, ვისაც 2004 წელს თავიანთი უკანასკნელი ფინალი დაუთმეს.

„ლეიკერსისთვის“ ეს ფინალი რიგით 29-ე გახლავთ და კობი ბრაიანტი კი 12-წლიან კარიერაში მეხუთედ გაიწევს ოქროსკენ, ამასთან პირველად შაკილ ონილის გარეშე. „სან ანტონიოსთან“ საქმის მოთავების შემდეგ ჟურნალისტმა მას ვერაგულად ჰკითხა — შაკს ხომ არ ეჯიბრებიო, რაზეც ბრაიანტმა მიუგო — არ ვეჯიბრები და საერთოდ, მგონი დადგა დრო, რომ ჩემი და შაკის თემა ამოვწუროთო.

დღეს ბრაიანტს გვერდით არ უდგას მთაშაკი, მაგრამ სამაგიეროდ მას ზურგს უმაგრებენ პაუ გასოლი და ლამარ ოდომი. ფილ ჯექსონმა ახალ ხიბლშესხმული „ლეიკერსი“ ძალზე მობილურ და შეკრულ გუნდად აქცია, სადაც, ცხადია, კობი ბრაიანტია პირველი ვიოლინო, მაგრამ გუნდის სიძლიერეც ისაა, რომ კობი მარტო, მსახურების დახმარებით უიმედოდ და ტანჯული სახით აღარ უტევს ქარის წისქვილებს. მას უკვე კონკრეტული მიზანი აქვს — გუნდს ჩემპიონობისკენ უნდა გაუძღვეს და ნბა-ს ყველაზე თავკერძა ვარსკვლავს ძალიან მოსწონს ეს ახალი როლი.

„სან ანტონიოსთან“ ბოლო შეხვედრა ძალიან ჰგავდა ბრაიანტის და მისი გუნდის სხვა თამაშებს — „ლეიკერსი“ თავიდან აგებდა, მაგრამ მერე კობი გადაირია და გუნდს დაძაბულ ბრძოლაში მოაგებინა. ნეტა როგორ ახერხებს ეს ეშმაკურღიმილიანი ბიჭი თავის გარშემო სიტუაციის ასე დამუხტვას? ის ნამდვილი ამერიკული შოუს ვარსკვლავია, რომელიც ხმაურით დაბრუნდა დიდ სცენაზე.

„ლეიკერსს“ ორი თვეა „სტეიპლს სენთერში“ არ წაუგია, პლეი ოფიცშინ დაუმარცხებლად გამოიარა. კედელზე მიყენებულ ჩემპიონ „სან ანტონიოს“ მეორედ ჰქონდა ლოს ანჯელესიდან გამარჯვების წამოღების შანსი, მაგრამ ბრაიანტმა... მოკლედ, ისევ ბრაიანტი!..

საწყის წუთებში თანაბარი თამაში შემდეგ „სან ანტონიომ“ მძლავრი იერიში წამოიწყო და მეტოქის ერთი დარტყმით წაქცევა გადაწყვიტა. პირველი მეოთხედის ბოლო ოთხ წუთში სტუმრებმა 10 უპასუხო ქულა აგემეს „ლეიკერსს“ და 28:15 დაწინაურდნენ, ხოლო თამაში რომ განახლდა, ორ წუთში ხუთი ქულა გააკეთეს და 33:16 გაიჭრნენ. ეს ყველაფერი ძალიან გავდა სერიის პირველ თამაშს, როდესაც „სან ანტონიო“ 20 ქულით იგებდა, გამარჯვება კი მაინც „ლეიკერსს“ დარჩა. განსხვავება ის იყო, რომ ლოსანჯელესელებმა ამ ჯერზე საქმე ბოლო მეოთხედამდე აღარ მიიყვანეს და გაცილებით ადრე გაქვითეს სხვაობა. ჯერ სათადარიგო გამთამაშებელმა ჯორდან ფარმარმა აიღო თამაში საკუთარ თავზე და ზედიზედ 6 ქულა გააკეთა, შემდეგ კი ბრაიანტმაც გამოიღო ხელი და მეორე მეოთხედის ბოლო წუთებში 9 ქულა გაშანსა, რითაც სხვაობისგან 6 ქულაღა დარჩა და „ლეიკერსმა“ ის სრულად გაქვითა მესამე მეოთხედში.

დასკვნითი 12 წუთი კი კობი ბრაიანტმა თავის ბენეფისად აქცია, პირადად მოიხვეჭა 17 ქულა და სულ 39 მოუგროვდა. „სან ანტონიოსთან“ სერიაში ის პირველად ასცდა 30 ქულას, მაშინ როდესაც „დენვერთან“ ოთხ თამაშში ეს სამჯერ შეძლო, „იუტასთან“ ექვს ცდაში კი ხუთჯერ გაილაღა.

„დასავლეთ კონფერენცია საშინლად ძლიერია და ჩვენ საოცრად ამაყები ვართ, აქ გამარჯვება რომ შევძელით — ამბობდა ბრაიანტი ნამატჩევს — ახლა უნდა დაველოდოთ ფინალს და ვნახოთ, გამარჯვებით ჩავამთავრებთ ამ კამპანიას თუ არა“.

„სან ანტონიომ“ კი აი ასე, კვლავ და კვლავ მარცხით დაასრულა ჩემპიონობის შემდგომი პლეი ოფი. გრეგ პოპოვიჩის გუნდი ბოლო 10 სეზონში ოთხჯერ გახდა ჩემპიონი, მაგრამ ვერცერთხელ ვერ შეძლო ტიტულის დაცვა. 1999, 2003, 2005, 2007. ფინალს რომ მოიგებენ, „დეზები“ მეორე წელს თითქოს ისვენებენო. იქნებ მართლა იმ სულელური აზრით ჰქონდათ გონება გამოვსებული, რომ წყვილ წლებში მათი ჯერი არ არის? ვინ იცის.

**ვანო კოზიაშვილი**



კობი ბრაიანტმა დასავლეთის საუკეთესო გუნდისთვის განკუთვნილი თასი ჩაიბარა



# მესამე და სუპერი

*საკალათბურთო სეზონი ხვალ სუპერთასით მთავრდება — ახლახან გაჩემპიონებული „ენერჯი-ინვესტი“ და თასის მომგები „ავიამშენი“ სეზონის ბოლო ტიტულს გაითამაშებენ. ორივე გუნდმა წლეულს ორორი თასი მოიგო. ზემოთქმულის გარდა რუსთაველებმა დუდუ დადიანის მემორიალში იმარჯვეს, ხოლო „ავიამშენმა“ ქორქია-საკანდელიძის თასსაც გამოჰკრა ხელი. ჰოდა, ხვალინდელი მატჩის დამატებითი ინტრიგაც ეს არის: რომელი გუნდი დაასრულებს სეზონს სამი ტიტულით. გუშინ კლუბ „თორმეტ მაგიდაში“ მეტოქე გუნდების მწვრთნელ-მოთამაშეები შეიკრიბნენ და სუპერთასის მნიშვნელობაზე ილაპარაკეს.*

*ვაჟა ძნელაძე, „ავიამშენის“ მთავარი მწვრთნელი:* „ამ სეზონში ორი ტიტული მოგებული გვაქვს, თუმც მესამეზეც არ ვიტყოდით უარს და სუპერთასისთვის განსაკუთრებულად ვემზადებით. თან მეტოქეც პრინციპული გვყავს — „ენერჯიინვესტმა“ ჩემპიონობა არ დაგვითმო და გვინდა, ამ მატჩში დავამტკიცოთ ჩვენი ძალა. სამწუხაროა, რომ ოპტიმალური შემადგენლობა არც ახლა გვყავს. ვახტანგ მინაშვილი ტრავმირებულია და ვერ დაგვეხმარება, ხოლო კოტე ტუღუშის თამაში სათუოა. არ იქნება ირაკლი ხოშტარიაც, რომელიც ვერც ფინალურ სერიაში გავიდა მოედანზე. მიუხედავად ამისა, ყველაფერს გავაკეთებთ გამარჯვების მოსაპოვებლად.

*დავით უსტიაშვილი, „ენერჯი-ინვესტის“ მთავარი მწვრთნელი:* „ჩვენი მთავარი მიზანი ჩემპიონობა იყო და მოხარულები ვართ, ეს რომ მოვახერხეთ. თუმც სუპერთასის მოსაგებადაც სერიოზულად ვემზადებით. ეს ტიტული ჯერაც ჩვენ გვეკუთვნის და დათმობას არ ვაპირებთ. გუნდი მობილიზებულია, თუმც ვერ ვიტყვი, რომ ყველა იდეალურ ფორმაშია. ტრავმების და ავადმყოფობის გამო სრულყოფილად ვარჯიშს ვერ ვახერხებდით. მხოლოდ დღეს ვათამაშე ბიჭები ხუთი-ხუთზე, მანამდე ხან ვინ გვაკლდა და ხან — ვინ.“

*რიჩარდ მათიაშვილი, „ავიამშენის“ ცენტრი:* „მეტოქეს ძალიან ძლიერი მოთამაშეები ჰყავს, რაც ფინალურ სერიაშიც გამოჩნდა. ასე რომ, საკმაოდ რთული თამაში გველის. ვეცდებით, რომ ჩემპიონი დავამარცხოთ და სეზონი კარგი განწყობით დავასრულოთ“.

*ლაშა გამყრელიძე, „ენერჯი-ინვესტის“ გამთამაშებელი:* „ფინალში გამარჯვების შემდეგ მაქსიმალური მობილიზება ძალიან ძნელია, თუმც ჩვენ ყველანაირად ვცდილობთ და ვნახოთ, რა გამოგვივა“.

**ირაკლი პერტაია**

# მსაჯები გვჩაგრავენ!

## რაშიდ ვოლესმა ბნელ ოთახში შავი კატა იპოვა

**ნბა-მ** მსაჯების კრიტიკისთვის 25 ათასი დოლარით დააჯარიმა დეტროიელი რაშიდ ვოლესი. „დეტროიტის“ გიჟმაჟმა ფორვარდ-ცენტრმა „ბოსტონთან“ აღმოსავლეთის ფინალური სერიის მეხუთე თამაშში 102:106 წაგების მიზეზთა ძიება არბიტრებით დაიწყო და ისე ღრმად შეტოპა, რომ მთლად ნბა-ს გამრიგეებსაც მისწვდა.

„მსაჯები არ არიან კეთილსინდისიერები, ჩვენს წინააღმდეგ ზოგჯერ ისეთ ჯარიმას უსტვენენ, კალათბურთს შეგაძულებენ. ყველაფერი სათავიდან მოდის, ყველაფერი დაგეგმილია, ფინალში გასული გუნდები კი უკვე ცნობილია. თქვენ გგონიათ რომ კალათბურთს უყურებთ? ეს არაა კალათბურთი, ეს დადგმული წარმოდგენაა და ეს ყველამ უნდა იცოდეს“ — აი, ასეთები ილაპარაკა ვოლესმა.

სხვათა შორის, ვოლესი პირველი და ერთადერთი არაა, ვინც არბიტრებს კონკრეტული გუნდის მხარდაჭერაში და მეორის დაძირვაში ადანაშაულებს. ორი დღის წინ სანანტონიოელმა ბრენტ ბერიმ დაიჩივლა, მსაჯები ისეთ უმნიშვნელო კონტაქტებზე გვაჯარიმებდნენ, რომ კონფერენციის ფინალში კი არა რეგულარული ჩემპიონატის რიგით მატჩებში არ ჩაითვლება ჯარიმადო. ბერი გადარჩა ნბა-ს სანქციას, უფრო ემოციური და რადიკალური ვოლესი კი ვერა.



მსაჯთა მიერ ერთისთვის ხელის წაშველებაზე საუბრები განსაკუთრებით მას შემდეგ გაღვივდა, რაც ნბა-ს კომისარმა დევიდ შტერნმა თქვა, კარგი იქნებოდა ფინალში „ბოსტონი“ და „ლეიკერსი“ გვეხილაო. შტერნის მიერ დასახელებული ორი გუნდიდან ერთი უკვე ფინალშია და მეორეც ახლოსაა მასთან. ამ დროს კი მათი მეტოქეები მსაჯებს უჩივიან.

ხოლო თუ რატომ სურდა შტერნს ფინალში მაინც და მაინც „ბოსტონის“ და „ლეიკერსის“ ხილვა, ეს ალბათ ყველასთვის გასაგები უნდა იყოს. ეს ორი ლეგენდარული გუნდი ერთმანეთს ათჯერ შეხვდნენ ფინალში და მთელი ეპოქა შექმნეს. ვოლესის მიერ ნახსენებ დადგმულ წარმოდგენაზე მითიც სავსებით მკაფიო კონტურებს მიიღებს იმის წარმოდგენით, თუ რამხელა შემოსავალი შეიძლება მოუტანოს ნბა-ს ორი გიგანტის პირველმა შერკინებამ ბოლო 21 წელიწადში.

**ვანო კოზიაშვილი**

# სპორტის დამპყრობლები
## სანი თავის ათეულს გვთავაზობს













ამასწინათ პოპულარულმა ბრიტანულმა გაზეთმა „სანმა“ მკითხველს სპორტს ყველა დროის „დამპყრობ“ ვარსკვლავთა თავისი ათეული წარუდგინა. ათეული იდეალურისგან შორსაა არა მხოლოდ იმიტომ, რომ შემდგენლებმა მასში არ შეიყვანეს გუნდური სახეობის არცერთი წარმომადგენელი, მაგალითად ფეხბურთელი, კალათბურთელი ან მორაგბე. იდეალური იმიტომაც არაა, რომ იქ საპატიო ადგილები უკავიათ მეგოლფეს, სნუკერისტს და დართსისტს! ხოლო ადგილი ვერ მოინახა ვერცერთი მძლეოსანისთვის, მოჭიდავისთვის, ტანმოვარჯიშისთვის, ან თუნდაც მოცურავისთვის. მაგრამ მიმწოდებლებიც და მომხმარებლებიც ხომ ბრიტანელები არიან და გავუგოთ მათ. მაშ ასე, „სანის“ ყველა დროის ათეული „სანისვე“ განმარტებებით

**10 — სტივენ ჰენდრი** (სნუკერი, შოტლანდია)

დროებით გადადეთ მსჯელობები იმის თაობაზე, სნუკერი არის სპორტის სახეობა თუ არა. ჰენდრი გამარჯვევების მომტანი მანქანა იყო 90-იან წლებში, შვიდჯერ მოიგო მსოფლიოს ჩემპიონატი, აქედან ხუთჯერ ზედიზედ 1992-96 წლებში. ზედიზედ რვა წელი იყო ნომერ პირველი და მსოფლიოს ჩემპიონი სარეკორდოდ ადრეულად, 21 წლისა გახდა.

**9 — როჯერ ფედერერი** (ჩოგბურთი, შვეიცარია)

მას კარიერა დასრულებული რომ ჰქონდეს, ამ სიის თავში მოხვედრის რეალური შანსი ექნებოდა. როჯერ ფედერერი ჯერ მხოლოდ 26 წლისაა და მას უკვე ბევრი ასახელებს ყველა დროის უძლიერეს სპორტსმენად. ზედიზედ ხუთჯერ აქვს მოგებული უიმბლდონი, რომელსაც არაოფიციალურ მსოფლიოს ჩემპიონატსაც უწოდებენ. გარდა ამისა შვეიცარიელმა მოიგო დიდი სლემის კიდევ რვა ტურნირი. ერთადერთი როლან გაროსი რჩება მის აქილევსის ქუსლად.

**8 — ჯეკ ნიკლაუსი** (გოლფი, აშშ)

„ოქროს დათვად“ წოდებული ჯეკ ნიკლაუსი ტაიგერ ვუდსის გამოჩენამდე ყველა დროის საუკეთესო მეგოლფედ ითვლებოდა დიდწილად მის მიერ მოგებული სარეკორდოდ ბევრი, 18 მეიჯორის გამო. ის 25 წელი იყო პიკზე და 1962-86 წლებში მთელი ეპოქა შექმნა. შემდეგ უკვე ასაკოვნებშიც, 1990-96 წლებში რვა მეიჯორი მოიგო. ორივე შედეგი სარეკორდოა გოლფის ისტორიაში.

**7 — შტეფი გრაფი** (ჩოგბურთი, გერმანია)

კაცთა ჩოგბურთი ბოლო წლებში დაპყრობილი ჰქონდათ პიტ სამპრასს და როჯერ ფედერერს, მაგრამ ქალთა ჩოგბურთის უდიდესი ვარსკვლავი მაინც იქცევდა მსოფლიოს ყურადღებას. გერმანელი ფაქტობრივად შეუჩერებელი იყო 80-იანებში და 90-იანებში და მოიგო წარმოუდგენლად ბევრი, 22 დიდი სლემის ტიტული. მარტინა ნავრატილოვას მეტი მოუგია, მაგრამ ერთეულებში იმდენი ვერა, რამდენიც გრაფს.

**6 — ფილ ტეილორი** (დართსი, ინგლისი)

რაც გინდათ ის თქვით დართსზე. ნებისმიერი, ვინც 13-ჯერ მოიგებს მსოფლიოს ჩემპიონატს, გამორჩეულია. ტეილორი 1990 წლიდან დღემდე მწვერვალზეა და სულ ახალ და ახალ ქომაგებს ატყვევებს. შეუძლებელია, ვინმემ ოდესმე გაიმეოროს ყველა დროის დართსის საუკეთესო მოთამაშის უნიკალური შედეგები.

**5 — პიტ სამპრასი** (ჩოგბურთი, აშშ)

როჯერ ფედერერი სულ ბავშვი იყო, როდესაც პიტ სამპრასმა თავისი პირველი დიდი სლემის ტურნირი მოიგო. მან ზედიზედ ექვსი სეზონი დაასრულა რეიტინგის პირველ საფეხურზე. 1993-2000 წლებში „პისტოლ პიტმა“ მხოლოდ ერთხელ ვერ შეძლო უიმბლდონის მოგება; სულ კი მან 14 დიდი სლემის ტურნირზე გაიმარჯვა. ეს რეკორდია, მაგრამ რამდენ ხანს გაძლებს?

**4 — მიხაელ შუმახერი** (ავტორბოლა, გერმანია)

დღეს ახალგაზრდა მრბოლებმა მადლობა უნდა თქვან, რომ მიხაელ შუმახერთან გაჯიბრება არ უწევთ. თავის ეპოქაში „გერმანული მანქანა“ მართლაც შეუდარებელი იყო და ისეთ რეკორდებს ამყარებდა, ძნელი წარმოსადგენია, ვინმემ მათი გაუმჯობესება შეძლოს. ის სულ ახალგაზრდა, არცთუ სუპერ-მანქანით ორჯერ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი ფორმულა 1-ში, შემდეგ კი ფერარით ზედიზედ ხუთჯერ იჩემპიონა. ჩვენ საქმე გვაქვს მსოფლიოს ყველა დროის უძლიერეს მძღოლთან.

**3 — მუჰამედ ალი** (კრივი, აშშ)

შესაძლოა, ალი უდიადესი მოკრივე იყო, მაგრამ ის სულაც არ გახლდათ დაუმარცხებელი. ის წააქციეს ჯო ფრეზერმა და კენ ნორტონმა, მაგრამ ალიმ ადგომა შეძლო და დაამარცხა მეტოქეები რინგზეც და რინგსგარეთაც. ის დღესაც კრივის ლეგენდად ითვლება. ამერიკაში დასახელებულია „ქვეყნის უდიადეს სპორტსმენად“.

**2 — ტაიგერ ვუდსი** (გოლფი, აშშ)

ტაიგერს ჯერ არ მოუხსნია ჯეკ ნიკლაუსის რეკორდები, მაგრამ ის 32 წლისა უკვე ყველაზე წარმატებულ მეგოლფედ ითვლება. და კიდევ, ის ყველაზე მდიდარი სპორტსმენია, ბოლო წლებში შეუცვლელად ლიდერობს ფორბსის მილიონერ სპორტსმენთა სიას და თუ გზიდან არ გადაუხვია, 2010 წლისთვის მსოფლიოს პირველი მილიარდელი სპორტსმენი შეეძინება.

**1 — ლენს არმსტრონგი** (ველორბოლა, აშშ)

როგორ უნდა დაასახელო რომელიმე სპორტსმენი საუკეთესოთა შორის საუკეთესოდ იოლი არაა, მაგრამ ერთი კაცი ამ ამოცანას გვიადვილებს: არ არსებობს „ტურ დე ფრანსზე“ ძნელად ასატანი, პირობითად რომ ვთქვათ, ტურნირი, ლენს არმსტრონგმა კი ის ზედიზედ შვიდჯერ მოიგო 1999-2005 წლებში, თანაც ეს ყველაფერი კიბოს დამარცხების შემდეგ შეძლო.


















**როლან გაროსი 2008. პარიზი. თიხა. 26 მაისი — 8 ივნისი. საპრიზო 13 796 000 ევრო**

# აი, სეირი: სრებოტნიკმა სერენაზე გაისეირნა

### კაცები

**მეორე წრე**

**ჟულიენ ბენეტო** (საფრანგეთი) — ალეხანდრო ფალა (კოლუმბია) 1:6 7:6 6:3 6:7 6:0; **ფლორენ სერა** (საფრანგეთი) — ვიქტორ ჰანესკუ (რუმინეთი) 6:4 6:3 6:7 7:6

**მესამე წრე**

**რაფაელ ნადალი** (2, ესპანეთი) — იარკო ნიემინენი (26, ფინეთი) 6:1 6:3 6:1; **ერნესტ გულბისი** (ლატვია) — ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) 6:3 7:5 6:2; **მიშელ ლოდრა** (საფრანგეთი) — სიმონე ბოლელი (იტალია) 7:6 6:4 7:6; **ნიკოლას ალმაგრო** (19, ესპანეთი) — ენდი მიურეი (10, ბრიტანეთი) 6:3 6:7 6:3 7:5; **ფერნანდო ვერდასკო** (22, ესპანეთი) — მიხაილ იუჟნი (15, რუსეთი) 7:6 5:7 7:5 6:1; **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (3, სერბეთი) — უეინ ოდესნიკი (აშშ) 7:5 6:4 6:2; **ჟერემი შარდი** (საფრანგეთი) — დმიტრი ტურსუნოვი (30, რუსეთი) 7:6 6:3 6:4; **პოლ-ანრი მატიო** (18, საფრანგეთი) — ედუარდო შვანკი (არგენტინა) 6:2 6:3 3:6 7:6;

### ქალები

**მეორე წრე**

**მარია შარაპოვა** (1, რუსეთი) — ბეტანი მატეკი (აშშ) 6:2 3:6 6:2; **ნადია პეტროვა** (25, რუსეთი) — ალისა კლეიბანოვა (რუსეთი) 6:3 6:3; **ვერა ზვონარიოვა** (11, რუსეთი) — სტეფანი კოენ-ალორო (საფრანგეთი) 6:2 6:4;

**მესამე წრე**

**კატარინა სრებოტნიკი** (27, სლოვენია) — სერენა უილიამსი (5, აშშ) 6:4 6:4; **ანა ივანოვიჩი** (2, სერბეთი) — კაროლინ ვოზნიაკი (დანია) 6:4 6:1; **პეტრა ცეტკოვსკა** (ჩეხეთი) — ივეტა ბენეშოვა (ჩეხეთი) 6:3 6:3; **პატი შნიდერი** (10, შვეიცარია) — ემილი ლუა (საფრანგეთი) 7:5 5:7 6:2; **აგნეშკა რადვანსკა** (14, პოლონეთი) — ალიზ კორნე (19, საფრანგეთი) 6:4 6:4; **კარლა სუარეს ნავარო** (ესპანეთი) — კეისი დელაკუა (ავსტრალია) 6:3 6:3; **ფლავია პენეტა** (26, იტალია) — ვინუს უილიამსი (8, აშშ) 7:5 6:3; ელენა იანკოვიჩი (3, სერბეთი) — დომინიკა ციბულკოვა (28, სლოვაკეთი) 7:5 4:2-ზე გადაიდო


კატარინა სრებოტნიკი


სერენა უილიამსი

**„როლან გაროსზე“**, როგორც იქნა, ქალთა შორისაც დაიქუხა — თან, საბედნიეროდ, ცაზე კი არა, რისი ნაკლებობაც ამ კვირაში არ შეინიშნებოდა, არამედ კორტზე. პარიზიდან დაიფრინეს სერენა უილიამსი, რომელსაც კატარინა სრებოტნიკმა ორ სეტში გამოუყვანა წირვა და გვარიანი სენსაციაც გამოაცხო. ფრანგულ სლემტურნირზე მეცხრედ მოთამაშე ამერიკელს ასე ნაადრევად აქამდე მხოლოდ ერთხელ, 2002 წელს წაეგო.

„სერენა თავის თავს არ ჰგავდა. მისი უმთავრესი პრობლემა ის იყო, რომ არასწორ გადაწყვეტილებებს იღებდა. შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ მას სხვა რამეებით ჰქონდა თავი გამოტენილი და თამაშზე ნაკლებად ფიქრობდა“ — ასე ახსნა უმცროსი შვილის მარცხი ორანსენე უილიამსმა, რომელიც სერენასა და ვინუსის მწვრთნელ-კონსულტანტიც არის.

სრებოტნიკმა კი უდავოდ კარიერის უმნიშვნელოვანესი მატჩი მოიგო. სლოვენიელს აქამდე ამხელა კალიბრის ბობოლა არასოდეს წაექცია.

საერთოდაც, ეს მეჩოგნე წყვილთა სპეციალისტად უფრო ითვლება და ერთეულთა შორის აქამდე რაიმე განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებია. თუმც ახლა სრებოტნიკს საამაყო ნამდვილად ექნება, რადგანაც უმცროს შავდას ორ სეტში მოუგო. თან ვერც იმას იტყვის ვინმე, სერენას ტრავმა აწუხებდა, ანაც ფორმაში ვერ იყოო — ავსტრალიის ღია პირველობის შემდეგ ამერიკელმა 17 მატჩიანი მოგებათა სერია გამოაცხო და ბერლინში დინარა საფინასთან წაგებამდე მეტოქეებისგან ქვას ქვაზე არ ტოვებდა.

ასეა თუ ისე, სერენამ ვერ შეძლო თავისი შანსების გამოყენება და ამისთვის დაისაჯა კიდეც. ამერიკელმა 12 ბრეიკ-პოინტიდან მხოლოდ ერთით ისარგებლა, სამაგიეროდ საკუთარი მოწოდება სამჯერ დათმო.

„ბევრი უაზრო შეცდომა დავუშვი და ყველაფრის ღირსი ვარ. თუმც მეტოქის თამაშიც უნდა გამოვყო, რადგანაც რამდენჯერმე ისეთი კომბინაცია გაათამაშა, რომელიც, დარწმუნებული ვარ, აქამდე არასოდეს გამოსვლია. ასეთ რალაცეებს ის რეგულარულად რომ აკეთებდეს, მსოფლიოს პირველი ან მეორე ჩოგანი იქნებოდა“ — განაცხადა სერენამ, რომელიც ძალიან მალე დაემშვიდობა ჟურნალისტებს, აქაოდა ახლა თქვენს ხასიათზე არა ვარო.

სრებოტნიკმა გამარჯვების უმთვარეს მიზეზად მატჩის წინ არჩეული ტაქტიკა დაასახელა. სლოვენიელი თავს იწონებდა, ვცდილობდი ტემპი ხშირად მეცვალა — ხან მომემატებინა, მერე კი უეცრად დამეგდო და ამით სერენასთვის დისკომფორტი შემექმნა, თორემ მას რომ ავყოლოდი, იოლად გამსრესდაო.

უმცროსი უილიამსის წაგება კი იმას ნიშნავს, რომ „როლან გაროსს“ ქალებში სრულიად ახალი ჩემპიონი ეყოლება — სერენა ხომ ერთადერთი მოქმედი მეჩოგნე გახლდათ, რომელსაც აქამდე პარიზში უმარჯვია.

ამერიკელის წაგებით განსაკუთრებით მაინც ანა ივანოვიჩმა გაიხარა, რომელსაც ამით ფაქტობრივად გაუთავისუფლდა გზა ნახევარფინალმდე. თავად სერბმა ლამაზმანმა კი გუშინ მეოთხე წრეში გაიკვალა გზა, როცა 17 წლის ამომავალ ვარსკვლავ კაროლინ ვოზნიაკის საკმაოდ დამჯერებლად მოუგო. ივანოვიჩი მატჩიდან მატჩამდე უმატებს და სულ უფრო დამაჯერებლად გამოიყურება, მაგრამ თინეიჯერ დანიელთან პირველ სეტში ბალკანელმა მაინც ბლომად შესცოდა. თუმც გამოცდილებამ თავისი ქნა და ტონუსში შევიდა თუ არა, ანა ბრწყინვალედ ათამაშდა.

სამაგიეროდ, უკიდურესად ცოდვილობს მარია შარაპოვა, რომელმაც ზედიზედ მეორე სამსეტიანი ჯახი გადაიტანა. პირველ წრეში ევგენია როდინასგან გაწვალებულმა რუსმა პრიმამ ჭკუა მაინც ვერ ისწავლა და ბეტანი მატეკთანაც რის ვაი-ვაგლახით იხეირა. მაშა განსაკუთრებით ამაზრზენად მოწოდებაზე გამოიყურება — ორ შეხვედრაში პასივში უკვე 27 ორმაგი შეცდომა აქვს, რაც მისთვის ტურნირის ნორმა უფროა. შარაპოვა ამის გარეშეც ბევრს სცოდავს, თანაც ძალიან უბრალო სიტუაციებში, რითაც მაგრად ირთულებს ცხოვრებას. 51 უნებლიე შეცდომის დაშვების მიუხედავად მაშა მატეკს კი გასცდა, მაგრამ უფრო მაღალი დონის მეჩოგნესთან ასე მშრალად ველარ გავა ფონს. თუმც თავად რუსს მიაჩნია, რომ პროგრესის გზას ადგას და საკუთარი თამაშის სტილის შეცვლას არ გეგმავს:

„თიხნარზე უფრო ხანგრძლივი გათამაშებებია ხოლმე და ამიტომ უფრო მოთმინებაა საჭირო, რომ უაზროდ არ აჩქარდე. ვფიქრობ, ამ კუთხით აშკარად ვუმატებ და რაც უფრო მეტ გამოცდილებას ვაგროვებ, მით უფრო ჭკვიანურად ვთამაშობ“.

მაშამ ჯერჯერობით მხოლოდ მესამე წრეს უწია, რადგანაც ეს ხუთშაბათიდან გადმოტანილი შეხვედრა გახლდათ. მისი შემდეგი მეტოქე იტალიელი კარინ კნაპი იქნება.

საჩემპიონო ფორმაში შედის „როლან გაროსის“ სამგზის ტრიუმფატორი რაფაელ ნადალი. ესპანელ ჯადო ბიჭს წვიმების გამო არეული კალენდრის გამო ზედიზედ მეოთხე დღეა უწევს კორტზე გასვლა, მაგრამ მას გადაღლა ოდნავადაც არ ეტყობა. თუმც რაფას შემთხვევაში ასეთი დატვირთვა სასარგებლო უფროა, რადგანაც ის თვალსა და ხელს შუა უმატებს და გადაჭარბებულად აღარ მოჩანს მის მიერ ტურნირის წინ გაკეთებული განცხადება, ფორმის პიკზე მეორე სათამაშო კვირის დასაწყისში უნდა გავიდეო.

რაფამ გუშინ იარკო ნიემინენი მიჩოგნა, რასაც საათნახევარზე ოდნავ მეტი მოანდომა. ესპანელი კორტზე უბრალოდ დაფრინავდა და ფინელის ყოველგვარ წამოწყებასა თუ ჩაფიქრებულ ფანდს ადვილად უმკლავდებოდა. წარმოდგენა იქმნება, რომ სულ უფრო მეტი ჩოგბურთელი ნადალთან სათამაშოდ უკვე მარცხს შეგუებული გადის და ესპანელს თავს აღარ აკლავს — ყოველ შემთხვევაში, ნიემინენმა პირველი სეტის შემდეგ ყურები ჩამოყარა და აშკარად ეტყობოდა, რომ მატჩის რაც შეიძლება მალე დასრულება სურდა.

ნადალი კი საკმაოდ თავისებურ რეკორდს უახლოვდება — მეოთხე წრეში ის თანამემამულე ფერნანდო ვერდასკოს ხვდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თავადაც მემარცხენე რაფას ზედიზედ მეოთხე ცაციასთან მოუწევს დატაკება, რაც აქამდე არასდროს მომხდარა.

ვერდასკომ კი გუშინ მიხაილ იუჟნი მიჩოგნა და ამას ოთხი სეტი შეალია. რუსი მართლაც შორს არის საუკეთესო კონდიციებისგან და ესპანელთან შეხვედრაშიც მხოლოდ იმით გამოირჩა, რომ თავის თავზე გაბრაზებულმა რამდენიმე ჩოგანი დაამსხვრია.

პარიზიდან აბარგება მოუწევს ენდი მიურეისაც. ბრიტანელისთვის საბედისწერო მესამე სეტის შუაწელი აღმოჩნდა, როცა ოციოდე წუთით „ჩაიძინა“ და ნიკოლას ალმაგროს მატჩის შემოტრიალების საშუალება მისცა — არადა, მანამდე თანაბრად ეომებოდა და მცირე უპირატესობაც ჰქონდა. თუმც ახალგაზრდა შოტლანდიელს კონცენტრაციის ასეთი დაკარგვა ამ ბოლო დროს ცუდ ჩვევად ექცა და ახლაც ამას შეეწირა.

მეოთხე წრეშია ნოვაკ ჯოკოვიჩიც, რომელმაც მთლად ნადალივით ვერ იგრიალა, მაგრამ უეინ ოდესნიკი მაინც დამაჯერებლად გაასილაქა.

**ბაჩა ლომაშვილი**

Formula 1

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1

№ 1 საავტომობილო ზეთი





რობერტ კუბიცა ძველ კოშმარზე აღარ ფიქრობს

# კუბიცამ შარშანდელი მონრეალი დაივიწყა

**გასულ** უქმეებზე მონტე კარლოს ქუჩებში გამართული მონაკოს დიდი პრიზის ვნებათა ღელვანი უკვე ჩაცხრა და ჰორიზონტზე მონრეალი და კანადის დიდი პრიზი გამოჩნდა.

დიახ, სამი ევროპული ეტაპის შემდეგ ფორმულა 1 ჩრდილოეთ ამერიკაში მიემგზავრება. მონრეალი კი სწორედ ის ადგილია, სადაც წლევანდელი სეზონჰს ერთ-ერთი უმთავრესი გმირი, „BMW-ზაუბერის“ პოლონელი პილოტი რობერტ კუბიცა შარშან საშინელ ავარიაში მოჰყვა.

ავტომრბოლელები, საერთოდ, ცრუმორწმუნე. ხალხია, მაგრამ კუბიცა არ უფრთხის კანადურ ეტაპს და ამბობს, რაც შარშან მოხდა, ის უკვე ისტორიის კუთვნილებაა და ერთი კვირის შემდეგ გასამართ ეტაპთან არავითარი კავშირი არ აქვსო.

„მონრეალის ტრეკი ჩემი ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი ტრასაა. რა თქმა უნდა, ყველას ახსოვს, რა მოხდა იქ შარშან, მაგრამ იმ ავარიასთან მე აღარანაირი პრობლემა აღარ მაქვს, რადგანაც მას შემდეგ ერთი წელი გავიდა, მე უამრავ ეტაპზე გამოვედი და საერთოდ აღარ ვფიქრობდი მაშინდელ შემთხვევაზე — განაცხადა კუბიცამ და დაამატა — ფორმულა 1-ში და, საერთოდ, ავტოსპორტში ძალიან დიდია რისკის მომენტი. ის ყოველთვის თან გვახლავს და სისულელეა იფიქრო იმაზე, რაც უკვე მოხდა. კანადაში მე ერთი მიზნით მივდივარ — მოვიპოვო რაც შეიძლება მეტი ქულა.

ის, რომ კუბიცას ქულების მოპოვება კარგად ეხერხება, წლევანდელი საპირველფორმულო ჩემპიონატის განვლილ ექვს ეტაპზე კარგად გამოჩნდა. რობერტი სეზონის ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური მრბოლია და გენერალურ კლასიფიკაციაში მეოთხე ადგილზე მყოფი ოდენ ექვსი ქულით ჩამორჩება ლიდერს, „მაკლარენ-მერსედესის“ ინგლისელ პილოტ ლუის ჰემილტონს.

„წლეულს ძალზე ბევრი ისეთი მომენტი და ნიუანსი იყო, რომლებმაც გავლენა იქონიეს ჩემს საბოლოო შედეგებზე. არა მგონია, რომ ახლა შარშანდელზე უკეთესი მრბოლი ვიყო. უბრალოდ, წლეულს გაცილებით უკეთესი და კონკურენტუნარიანი მანქანა მაქვს და ამან ძალზე გამიიოლა ცხოვრება. შარშანდელი სეზონი იმედების გაცრუებისა იყო, სამაგიეროდ, ბევრი რამ ვისწავლე და ახლა ბედნიერი ვარ“ — ესეც კუბიცას სიტყვებია, რომელიც დარწმუნებულია, რომ „BMW-ზაუბერი“ საკმარისად სწრაფია საიმისოდ, დიდი პრიზების მოგებისთვის რომ იბრძოლს.

ჯერჯერობით კუბიცა და „BMW-ზაუბერი“ პოდიუმის ქვედა საფეხურებით, პოულითა და სწრაფი წრეებით კმაყოფილდებიან. თავად კუბიცა ორჯერ მეორე იყო, ერთხელ — მესამე და ერთხელაც პოული მოიგო. ყოველივე ამის შემდეგ პოოლნელი ფიქრობს, რომ შორს არ არის ის დღე, როდესაც გამარჯვებასაც დააგემოვნებს.

„როდესაც „სეპანგზე“ მეორე ვიყავი, „ფერარის“ დაახლოებით 20 წამით ჩამოვრჩი. მონაკოში, უსაფრთხოების მანქანის გამოჩენამდე, ჰემილტონთან, სადღაც 40 წამს ვაგებდი. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ კიდევ უნდა მოვუმატოთ, წრეზე რამდენიმე მეათედი წამი და მერე რბოლის მოგებაც შეიძლება. მე ვიცი, რომ გუნდი დღეს უწინდელზე გაცილებით მეტს მუშაობს და მჯერა, რომ გამარჯვების შანსი, უკვე წლეულს გვექნება“ — განაცხადა კუბიცამ.

**ქახა ლომაძე**

ფრენბურთი

# ბარსელონური ამბავი: საქა-რთველო მორჩა და გეორ-გია დაიწყო

**ბარსელონაში** მიმდინარე პლაჟის ფრენბურთელთა მსოფლიოს თასის ეტაპზე ბრაზილიელ-ქართველ გოგონათა წყვილმა, საქამ და რთველომ ასპარეზობა დაასრულა. ისინი ძირითად ბადეში 25-ე ნომრად იყვნენ განთესილნი და მეორე დღის პირველ შეხვედრაში კამპისის და ლოსანოს ტანდემი დაამარცხეს ორ სეტში (21:9, 21:17), დღის მეორე მატჩში კი ველარაფერი გააწყვეს მე-2 ნომრად განთესილ ბრანას და იუნგის დუეტთან. ჩვენები აშშ-ის წარმომადგენლებთან 2 სეტში დამარცხდნენ (14:21, 18:21). საბოლოო ჯამში საქამ და რთველომ ბარსელონურ ეტაპზე მე-14 ადგილი დაიკავეს და 180 სარეიტინგო ქულა მიიღეს.

ამავე ტურნირზე თავიანთი პირველი შეხვედრა მარცხიანად ჩაატარა ბრაზილიელი კაცებით დაკომპლექტებულმა ქართულმა წყვილმა გეორ და გიამ. მე-17 ნომრად განთესილმა ქართულმა ტანდემმა მე-16 ნომერ ახალზელანდიურ ლოჩედი-პიტმანის დუეტთან წააგო — 0:2 (15:21, 10:21). შემდეგ შეხვედრაში გეორ და გიამ ესპანელები, ლუნა და მარკოსი დაამ (21:13, 21:19). მომდევ შეხვედრას ჩვენები იაპონელებთან, ასაჰისთან და შირატორისთან გამართავს.

**ზურაბ მიგრიაული**

ველორბოლა

# წამების ამბავი

**რიგით** 91-ე „ჯირო დიტალიამ“ ბოლო დღემდე შეინარჩუნა ინტრიგა. გუშინდელი, მე-19 ეტაპის შემდეგ გენერალურ კლასიფიკაციაში სიტუაცია უკიდურესობამდე დაიძაბა — შარშანდელი „ტურ დე ფრანსის“ ტრიუმფატორი ალბერტო კონტადორი ოდენ 4 წამს უგებს რიკარდო რიკოს და იქვეა დანილო დი ლუკაც — „ჯიროს“ შარშანდელი ჩემპიონი ლიდერს 21 წამით ჩამორჩება.

გუშინ დი ლუკამ, რომელიც კონტადორთან 2 წუთსა და 18 წამს აგებდა, ფანტასტიკური იერიში წამოიწყო და უმაღლესი კატეგორიის მთის, პასო დი ვივიონეს ალმართში, თანაც საშინელ თქეშში მოწყდა ვარდისფერმაისურიანი ესპანელის ჯგუფს. 1828-მეტრიანი პასო დი ვივიონეს შემდეგ კიდევ ორი, შედარებით მომცრო მთა იყო და დი ლუკა ბოლო ალმართს, უკვე მარტო შეუყვა. არა, მასზე წინ ბელარუსი ვასილი კირიენკო იყო, მაგრამ ის საერთო ჩათვლაში არავისთვის საფრთხეს არ წარმოადგენდა და ამიტომაც, არც არავის აინტერესებდა მისი გუნდის, „ტინკოფის“ გარდა.

კირიენკომ დიდი უპირატესობით მოიგო ეს ურთულესი ეტაპი, მთავარი ბრძოლა კი მის უკან მიდიოდა. რაღაც მომენტში დი ლუკა ორწუთნახევარს უგებდა კონტადორის ჯგუფს, საიდანაც ბოლო კილომეტრებზე რიკო გაიქცა და ერთი პირობა ისიც გვარიანად მოწყდა კონტადორს, მაგრამ ესპანელმა, რომელიც ამ დროისთვის, უკვე თანაგუნდელების გარეშე იყო დარჩენილი, ბოლო ძალები მოიკრიფა, ტემპს მოუმატა და ვარდისფერი მაისურა შეინარჩუნა.

დღეს კიდევ ერთი ურთულესი ეტაპია ორი უმაღლესი და ერთიც მეორე კატეგორიის მწვერვალით. ამათგან პირველი, ლეგენდარული იტალიელის, ფაუსტო კოპის პატივისცემად „კოპის მთად“ წოდებული, ზღვის დონიდან 2618 მეტრზე მდებარე პასო გავია, სულაც წლევანდელი „ჯიროს“ უმაღლესი პიკია. ერთი ეგაა, რომ ფინიში ალმართში არ არის, მაგრამ ბოლო, უაღრესად მკვეთრ დაღმართზე დაშვებასაც საქმე უნდა და, თუ გუშინდელივით იწვიმა, მაშინ ძნელი სათქმელია, რა მოხდება.

ყველაფერი კი კვირას, 28,5-კილომეტრიანი ინდივიდუალური რბოლით დასრულდება და კონტადორის კოზირიც ეს არის — დაყოფილი სტარტით რბოლაში ის რიკოსა და დაი ლუკაზე სწრაფია.



მე-18 ეტაპის გამარჯვებული იენს ფოიგტი

**91-ე ჯირო დიტალია. 10 მაისი — 1 ივნისი**

**XVIII ეტაპი**

**მენდრისიო — ვარეზე. 147 კმ**

| | |
|---|---|
| 1. იენს ფოიგტი (გერმანია, CSC) | 3სთ 22წთ 46წმ |
| 2. ჯოვანი ვისკონტი (იტალია, „ქვიკ სტეპი“) | +1წთ 07წმ |
| 3. რინალდო ნოსეტინი (იტალია, AG2R) | +1.07 |
| 4. გაბრიელე ბოსისიო (იტალია, LPR) | +1.07 |
| 5. დანიელე ბენატი (იტალია, „ლიქუიგასი“) | +2.04 |

**XIX ეტაპი**

**პრესოლანა — მონტე პორა. 228კმ**

| | |
|---|---|
| 1. ვასილი კირიენკო (ბელარუსი, „ტინკოფი“) | 6სთ 37წთ 32წმ |
| 2. დანილო დი ლუკა (იტალია, LPR) | +4წთ 36წმ |
| 3. ალექსანდრ ეფიმკინი (რუსეთი, „ქვიკ სტეპი“) | +4.43 |
| 4. სტივენ კამინგსი (ბრიტანეთი, „ბარლვორლდი“) | +5.25 |
| 5. რიკარდო რიკო (იტალია, „სონი დიუვალი“) | +5.44 |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. ალბერტო კონტადიორი (ესპანეთი, „ასტანა“) | 82სთ 29წთ 10წმ |
| 2. რიკარდო რიკო (იტალია, „სონი დიუვალი“) | +4წმ |
| 3. დანილო დი ლუკა (იტალია, LPR) | +21წმ |
| 4. მარსიო ბრუზეგინი (იტალია, „ლამპრე“) | +2.00 |
| 5. ფრანკო პელიცოტი (იტალია, „ლიქუიგასი“) | +2.05 |

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge